# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 18 ივლისი 2008 №164 (3388) ფასი 50 თეთრი


# ეს ქართველების სტილია

## კომპლიმენტები ერთ დროს დიდი გუნდის ქვეყნიდან




ოთარ მაღლაკელიძე
საგანგებოდ „სარბიელისთვის“
დიორიდან




რონ ონიანის და ედსონ სანტოსის „ზესტაფონმა“ დიორიდან სასურველი შედეგი წამოიღო

# 1:1

**დიორში** დილიდანვე ჩამოცხა, 11 საათზე „ზესტაფონს“ მსუბუქი ვარჯიში ჰქონდა და უკვე ისე ცხელოდა, საღამოსთვის ანუ თამაშისას მეტ ხვატს ვარაუდობდნენ, მაგრამ ის იყო, გუნდი მოედანზე გავიდა, რომ უცებ მოიღრუბლა, მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე კი ისე კოკისპირულად დაცხო, მთელი 90 წუთი არ გადაუღია.

„ზესტაფონის“ მხარდასაჭერად უნგრეთში და ავსტრიაში მცხოვრები ოცამდე ქართველი მოვიდა სტადიონზე. მასპინძლებმა ისინი საგანგებოდ ამ თამაშისთვის კარს უკან აშენებულ ახალ, ასკაციან ტრიბუნაზე მოათავსეს, მაგრამ მერე წვიმა ისე გაძლიერდა, რომ ქართველი ქომაგობა გადახურულ ტრიბუნებზე გადაიყვანეს. მართალია, ზესტაფონური კლუბის ხელმძღვანელობა უფრო მეტი ქართველის ჩამოსვლას ელოდა, მაგრამ ამ ოცმა კაცმაც ტოლი არაფერში დაუდო ხუთიათასამდე უნგრელს.

„ეტო პარკზე“ რემონტი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ჩანს, რომ უნგრელები სერიოზულ სტადიონს აშენებენ. იმის გამო, რომ ჯერჯერობით ბოლომდე მოწყობილი არ არის ჟურნალისტთა ლოჟა, მეც ქართველ ქომაგებში მომიწია ყოფნამ. თქვენ წარმოიდგინეთ, „დიორ ეტოს“ არც პრეს-სამსახურის უფროსი ჰყავდა და მატჩის ოქმი დიდი ვაი-ვაგლახით პირდაპირ მსაჯთა ოთახიდან გამოგვიტანა კლუბის მავანმა წარმომადგენელმა.

თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო და პირველ ოც წუთში უპირატესობა ვერცერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა. ძალიან ხისტი თამაში იყო და მსაჯმაც თავიდანვე სცადა ფეხბურთელების დამშვიდება. ამიტომ იყო, მე-13 წუთზე ვიეირას წაქცევისთვის ბოორს უმალ ყვითელი რომ აჩვენა. ამ მომენტიდან ათიოდ წუთში „ზესტაფონი“ შესამჩნევად გააქტიურდა და საგრძნობი უპირატესობაც მოიპოვა.

31-ე წუთზე ნიკა კვასხვაძე დაშავდა, უჩალობჟანიძემ ბურთი მოედნის მიღმა არ გადააგდო, მასპინძელთა ნახევარზე მოიგერია და უნგრელთა სწრაფი კონტრშეტევა აქედან დაიწყო. შედეგად, ბაიზატი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბედად, ბურთი კარს ააცილა. ეს იყო და, „ზესტაფონმა“ ისევ შეუტია. მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე კი, დაახლოებით 30 მეტრიდან ჟილვან ვიეირამ ჯარიმა კარში დაარტყა, ბურთი გზად ოდნავ შეეხო ნიკოლოვს და კარში შევარდა — 0:1.


გაგრძელება მეორე გვერდზე


# რა კარგი იყავ მაშინ...

## ვიტ ჯორჯიამ პირველი ტაიმი 2:0 მოიგო



ვიტელებმა სლოვაკებს ჩხუბშიც არაფერი დაუთმეს

# 2:2

# უეფას თასი 2008-2009
## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

# ზესტაფონმა უნგრეთიდან ფრე და კომპლიმენტი ჩამოიტანა

დიორი. 17 ივლისი. 22.00 საათი. ეტო პარკი. 5 000 მაყურებელი

### დიორი 1:1 ზესტაფონი

0:1 ვიეირა (45), 1:1 ბოორი (58)

**დიორი:** სტეფანოვიჩი, ნიკოლოვი, სუპიჩი, ბანკი, პინტერი, ბოორი, ტაკლი, ტოში, ბიჩაკი (კოლტაი 46), ბაიზატი, ზ. კოვაჩი (ვოლგი 85)
*სათადარიგონი:* ზ. ვარგა, ფომუმბოდი, ბრნოვიჩი, პაკოლიჩი
**მწვრთნელი:** შანდორ ედერვარი

**ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე, სანტოსი, უ. ლობჟანიძე, ს. თოდუა, ვიეირა, მ. დაუშვილი, ძარია (იონანიძე 81), რ. ონიანი, ნ. კვასხვაძე (ფრიდოლინი 46), ბ. გოცირიძე, გელაშვილი (ჩასემი 69)
*სათადარიგონი:* ჭანტურია, შ. ღონღაძე, გორგიაშვილი, მაკარიანი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** ბოორი (13), გელაშვილი, ნიკოლოვი (83), გოცირიძე (85), ვოლგი (85)

**მსაჯები:** ა. ანგელოვი; ი. ვალჩევი, ვ. დობრიანოვი; გ. იორდანოვი (ყველა ბულგარეთი)

**დამკვირვებელი:** ლ. გადოში (სლოვაკეთი); **დელეგატი:** ბ. ბრაიტი (ინგლისი)

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

შესვენებაზე თემურ მახარაძემ ნიკა კვასხვაძის ნაცვლად კამერუნელი მცველი ბოიომო ფრიდოლინი შეუშვა მოედანზე და ამ ცვლილებას კინაღამ მეორე გოლი მოჰყვა: ფრიდოლინის პასით გოცირიძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. 53-ე წუთზე როინ ონიანის ჩაწოდებულს ირაკლი ძარიამ არაზუსტი თავური მიაყოლა, აქედან სამ წუთში კი ბაიზატის შორიდან უძლიერესად დარტყმული როინ კვასხვაძემ ფანტასტიკური ნახტომით კუთხურზე მოიგერია. უნგრელებმა შეტევებს უხშირეს და 58-ე წუთზე საწადელსაც მიაღწიეს. კვასხვაძემ შორიდან დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ ბურთთან პირველი ზოლტან ბოორი გაჩნდა და — 1:1.

„დიორ ეტომ" უპირატესობა მოიპოვა, სამწუთიან მონაკვეთში, სამი კუთხურიც ჩააწოდა, თუმცა რეალური საგოლე მომენტი არ შეუქმნია. მერე „ზესტაფონიც" გამოფხიზლდა, ისევ ცენტრში აიტანა თამაში და მახარაძემ ნიკა გელაშვილის ნაცვლად ერიკ რომეო ჩასემი იხმო. 72-ე წუთზე მასპინძლებს კიდევ ერთი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ უმეთვალყურეოდ დარჩენილი კოვაჩის ათიოდ მეტრიდან დარტყმულს ისევ როინ კვასხვაძე გადაეფარა. ამის შემდეგ სახიფათო მომენტი აღარ შექმნილა, თუმცა ბრძოლა ბოლო წუთამდე იყო.

მოკლედ, 1:1 და „ზესტაფონს" მომდევნო ეტაპზე გასვლის რეალური შანსი აქვს.

ერთიც: მატჩს ესწრებოდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი.

**პრესკონფერენცია:**

*თემურ მახარაძე:* უნგრელებს კარგი გუნდი ჰყავთ და ამის გათვალისწინებით უფრო სასიამოვნოა, რომ არ წავაგეთ. ცოტა ხნის წინ ჩვენი გუნდი ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა, ახალწვეულებიც ბლომად გვყავს და ამ ყველაფრის გათვალისწინებით შედეგით კმაყოფილი დავრჩი.

*შანდორ ედერვარი:* დღეს ჩვენი დღე არ იყო, არაფერი გამოგვივიდა. ქართველებისგან ასეთ ბრძოლისუნარიანობას და აგრესიულობას არ ველოდი. „ზესტაფონმა" თავდაუზოგავად ითამაშა და სასურველ შედეგსაც მიაღწია. ხოლო ის, რომ ჩვენს მეტოქეს ბევრი ტექნიკური ფეხბურთელი ჰყავს, გასაკვირი სულაც არ არის, ეს ქართველების სტილია.

# ვიტ ჯორჯიამ 2:0-ს არ დაუჯერა

ტრნავა. 17 ივლისი. 22.15 საათი. ა. მალატინსკი. 5 000 მაყურებელი

### სპარტაკი 2:2 ვიტ ჯორჯია

0:1 ლომაია (14), 0:2 რაზმაძე (43პ), 1:2 კოჟუხი (74), 2:2 ბერნატი (90)

**სპარტაკი:** რუბანსკი, ჩიფერსკი, დოლეჟაი, ლ. ჰანცელი (ბერნატი 56), პერესი (პრუშკა 46), პონჩაკი, დურიში (გულდანი 64), კოჟუხი, იელენკოვიჩი, კოპუნეკი, ფილიპოვიჩი
**მწვრთნელი:** ვლადიმირ ვერმეზოვიჩი

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ბეჭვაია, დ. ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (კვალინიძე 64), ვ. კვარაცხელია (ლუჟაშვილი 69), ლიპარტია (ყველაშვილი 82)
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** ლომაია, რაზმაძე, ბეჭვაია

**მსაჯები:** ი. ვალგეირსონი; ს. ტორლეიფსონი, ი. გუდმუნდსონი; ე. კრისტინსონი (ყველა ისლანდია)

**დამკვირვებელი:** მ. მამედოვი (აზერბაიჯანი); **დელეგატი:** ი. ვილკი (ისრაელი)

**ორი** გოლის გატანა მოახერხა სტუმრად თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" და საპასუხო მატჩის წინ მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ... ახლა ისე გამოვიდა, რომ ეს 2:2 ძალიან გულდასაწყვეტი შედეგია — პირველი ტაიმის შემდეგ ხომ ნესტორ მუმლაძის გუნდი 2:0 იგებდა.

შეხვედრა მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და საწყისი 10 წუთის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობასაც ფლობდნენ.

თბილისელები მალევე ათამაშდნენ და ზედიზედ ოთხი კუთხურიც ჩააწოდეს, რასაც მე-14 წუთზე გოლიც მოჰყვა — ირაკლი კლიმიაშვილის ჩაწოდებულს თავი დავით ლომაიამ შეაგება. მცველი კარიდან ბურთის გამოტანას კი ეცადა, მაგრამ უკვე გვიანი იყო — ბურთს ხაზი გადაეკვეთა...

ამ მატჩის პირველ ნახევარს ინტერნეტით ვადევნეთ თვალი. სამწუხაროდ, მეორე ტაიმში ჩვენება შეწყდა, მაგრამ, რაც ვნახეთ, „ვიტ ჯორჯია" ყოჩაღად გამოიყურებოდა.

ქართველებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა ტაიმის შუაში იყო მომენტი, როცა ისინი იღბალმა და გრიგოლ ბედიაშვილმა იხსნა — ვიტელთა მეკარემ ზედიზედ სამი სახიფათოდ დარტყმული თავგანწირულად მოიგერია.

43-ე წუთზე კი საჯარიმოში შეჭრილი ვახტანგ კვარაცხელია მასპინძლებმა წააქციეს და პენალტი ზუსტად შეასრულა ლუკა რაზმაძემ — 0:2.



ვიტელთა პირველი გოლი დავით ლომაიამ (მარცხნივ) ჩაიწერა

„ვიტ ჯორჯიამ" მეორე ტაიმი კარგად დაიწყო და საბოლოოდ გასამარჯვებლად თითქოს წინ არაფერი ედგა, თუმცა 74-ე წუთზე ვიტელებმა ჯარიმიდან გაუშვეს დასანანი გოლი. დარჩენილ წუთებში კი „სპარტაკმა" სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და ბერნატმაც ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

**ბაზა შალამბერიძე**

# დაჩიელ ქართველებს მოლდოვიდან აძევებენ

**კიშინიოვის** „დაჩიას" ქართველ ლეგიონერებს, ჯაბა დვალს, ლევან კორღალიძეს და სერგი ორბელაძეს პრობლემები შეექმნათ.

მოლდოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, ქართველი ფეხბურთელები ქვეყანაში არალეგალურად იმყოფებიან.

ქართველი ფეხბურთელების მიმართ ადმინისტრაციული სარჩელი უკვე აღძრულია და თუ ბრალდება დაუმტკიცდათ, დიდი ფინანსური ჯარიმა ელით და ალბათ მოლდოვიდანაც გამოაძევებენ.

ადმინისტრაციული ოქმები შედგება „დაჩიას" ხელმძღვანელობის მიმართაც.



სერგი ორბელაძე (მარცხნივ)

**ბაზა შალამბერიძე**

# უეფას თასი 2008-2009
## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

შახტიორი (ყაზახეთი) 1:1 დებრეცენი (უნგრეთი)
არარატი (სომხეთი) 0:1 ბელინცონა (შვეიცარია)
ტობოლი (ყაზახეთი) 1:0 აუსტრია (ავსტრია)
ოლიმპსი (ლატვია) 0:1 სენტ პატრიკსი (ირლანდია)
მტზ-რიპო (ბელარუსი) 2:2 ჟილინა (სლოვაკეთი)
ტვმკ (ესტონეთი) 0:3 ნორდსიელანდი (დანია)
ჰონკა (ფინეთი) 3:0 აკრანესი (ისლანდია)
სუდუვა (ლიტვა) 1:0 ლანსანტფრეიდი (უელსი)
პელისტერი (მაკედონია) 0:0 აპოელი (კვიპროსი)
ჰაპოელი (კირიათ შმონა, ისრაელი) 1:1 მოგრენი (ჩერნოგორია)
ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 3:0 იუვენეს დოგანა (სან მარინო)
ხაზარი (აზერბაიჯანი) 0:1 ლეხი (პოლონეთი)
ვოივოდინა (სერბეთი) 1:0 ოლიმპიკი (აზერბაიჯანი)
ვეტრა (ლიტვა) 1:0 ვიკინგი (ნორვეგია)
იურგორდენი (შვედეთი) 0:0 ფლორა (ესტონეთი)
ომონია (კვიპროსი) 2:0 მილანო კუმანოვო (მაკედონია)
დაჩია (მოლდოვა) 1:1 ბორაცი (სერბეთი)
ჩერნო მორე (ბულგარეთი) 4:0 სანტა ჯულია (ანდორა)
უნიონი (ლუქსემბურგი) 0:3 კალმარი (შვედეთი)
სტრეიმური (ფარერები) 0:2 მანჩესტერ სიტი (ინგლისი)
ვადუცი (ლიხტენშტაინი) 1:2 ზრინსკი (ბოსნია)
მარშაძსლოკი (მალტა) 0:4 სლავენი (ხორვატია)
ბრონდბიუ (დანია) 1:0 B-36 ტორსჰავნი (ფარერები)
შიროკი ბრიაგი (ბოსნია) 0:0 პარტიზანი (ალბანეთი)
ჰერტა (გერმანია) 8:1 ნისტრუ (მოლდოვა)
ბანგორ სიტი (უელსი) 1:6 მიდტიულანდი (დანია)
კოპერი (სლოვენია) 1:2 ვლაზნია (ალბანეთი)
ზეტა (ჩერნოგორია) 1:1 ლიუბლიანა (სლოვენია)
ზალცბურგი (ავსტრია) 7:0 ბანანცი (სომხეთი)
კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია) 0:4 კოპენჰაგენი (დანია)
კორკ სიტი (ირლანდია) 2:2 ჰაკა (ფინეთი)
ლეგია (პოლონეთი) 0:0 გომელი (ბელარუსი)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 1:1 მეტალურგსი (ლატვია)
ჰაიდუკი (ხორვატია) 4:0 ბირკირკარა (მალტა)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია) 3:2 გრევენმახერი (ლუქსემბურგი)

# 2008 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

| A ჯგუფი. II ტური | B ჯგუფი. II ტური |
|---|---|
| ესპანეთი 0:1 უნგრეთი | ჩეხეთი 0:0 საბერძნეთი |
| გერმანია 3:0 ბულგარეთი | ინგლისი 0:0 იტალია |

# იაპონია

ჯეი ლიგა. XVII ტური

ივატა 2:1 ნაგოია
კაშივა 1:0 ომია
კავაზაკი 2:1 შიმიცუ
ურავა 3:2 ვერდი

# ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| კრუზ ასული 1:0 ატლეტიკო (მ) | პანათინაიკოსი 2:0 ბანიკი |
| ფოლკირკი 0:0 ჰარტლპული | კლუჟი 2:1 მოზერუელი |
| ბრნო 0:1 ლევსკი | ტელსტარი 0:3 უენსდი |
| იაბლონეცი 0:3 კოტბუსი | ბერვიკი 2:3 ჰამილტონი |
| ბირმინგემი 3:1 პლზენი | ალდერშოტი 3:4 კრ. პალასი |
| ფორტუნა 1:3 ვერდერი | პორტ ტელბოტი 0:4 სუონსი |



გიორგი ხიდეშელი

# ოლიმპს ზღვაზე ხიდეშელიც მიჰყვება

**გუშინ** რუსთავის „ოლიმპმა“ კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა. ხვიჩა ქასრაშვილის შეგირდებმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს 1:0 სძლიეს. გოლი კოკა მიკუჩაძის გადაცემით გიორგი მეგრელაძემ პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა.

თამაში სანახაობრივი ვერ გამოდგა. 19-წლამდელებს 90 წუთში ერთი რეალური შანსიც არ მისცემიათ, „ოლიმპმა“ კი ორჯერ ძელსაც გაარტყა ბურთი.

რუსთაველებს ტრავმების გამო ვერ დაეხმარნენ გიორგი ონიანი, გიორგი ფეიქრიშვილი და არჩილ სებისკვერაძე. ზაურ სვანაძემ კი ბევრი ფეხბურთელი გამოსცადა.

გუნდების შემადგენლობები ასეთი იყო:

*ოლიმპი: მერლანი, მაჭავარიანი, მუნდუნგა, რეხვიაშვილი, თ. ლონლაძე, სეთურიძე, გაბიდაური (გუნცაძე 70), ბაბუნაშვილი, გეწაძე, მიკუჩაძე (დობროვოლსკი 46), მეგრელაძე (მიქაბერიძე 60).*

*19-წლამდელთა ნაკრები: მაკარიძე, სარაჯიშვილი (გურაბანიძე), კაკუბავა (ტყებუჩავა), ტეტუნაშვილი (ბუკია), სარალიძე (გეთიაშვილი), კანდელაკი (ხუციძე), თარხნიშვილი (სორდია), შონია (ნემსაძე), კვეკვესკირი (სალარიძე; ფილია), იჩქითი (ხოკერაშვილი), როსტიაშვილი (საცერაძე).*

ამ მატჩს თვალყურს ადევნებდა „ზესტაფონის“ ყოფილი ფეხბურთელი გიორგი ხიდეშელი და, როგორც თავად გვითხრა, დღეს ურეკში „ოლიმპთან“ ერთად წავა.

ქასრაშვილს ზღვისპირეთში ეს ფეხბურთელები მიჰყვება: *მირზა მერლანი, ზვიად სტურუა, როდრიგ მუნდუნგა, გიორგი სეთურიძე, გიორგი ონიანი, გიორგი ხიდეშელი, ნიკა გულიაშვილი, გიორგი რეხვიაშვილი, გიორგი გაბიდაური, გიორგი ფეიქრიშვილი, რევაზ გეწაძე, შოთა ბაბუნაშვილი, დენის დობროვოლსკი, გაგა ჩხეტიანი, კოკა მიკუჩაძე, გიორგი მეგრელაძე, მიქაბერიძე.*

რუსთაველებს ტესტ-მატჩებიც აქვთ დაგეგმილი: 22 ივლისს საჩხერის „ჩიხურასთან“, 26-ში ბოლნისის „სიონთან“, 28 ივლისს, სავარაუდოდ, ფოთის „კოლხეთთან“ და შეკრებასაც ამით დაასრულებენ.

ზაურ სვანაძის ნაკრები კი 22 ივლისს შეკრებაზე გადავა თბილისში და 24 და 26 ივლისს რუმინელ თანატოლებს გაეჯიბრება, თუმცა ჯერ სტადიონი დადგენილი არ არის.

**ნუკრი ლოლაძე**

# გიორგი მაკარიძე საათს დასცქერის



**გუშინ** საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი მაკარიძემ 19-წლამდელთა ნაკრებში ითამაშა რუსთავის „ოლიმპის“ წინააღმდეგ.

დიდი ხანია, მაკარიძეზე ამბობენ, რომ მალე საქართველოს დატოვებს და რომელიმე ევროპულ გუნდში მოეწყობა, თუმც ეს პროცესი ძალიან გაიწელა.

გიორგის თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტი ნოემბერში უმთავრდება. როგორც თავად მაკარიძემ გვითხრა, ყოველ წუთს ელოდება უცხოეთიდან პასუხს, რამდენიმე ვარიანტი ყოფილა...

**ნუკრი ლოლაძე**

# გიორგი მერებაშვილი: ჩვენ ეს შეგვიძლია...

## ცობელმა იცის, დინამოს მოსწონს



საქართველოს მე-19 ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი მერებაშვილი** ჯერ კიდევ წინა სეზონის ბოლოს დაშავდა და მას შემდეგ ხეირიანად არც უვარჯიშია. მაგრამ გუშინწინ ფარერულ „რუნავიკთან“ ისე ითამაშა, ტრავმის კვალი არ შეუტყვია. სამიდან ორი გოლიც გიორგიმ გააკეთა — ერთი, როცა მეტოქე აიძულა, ბურთი კუთხურზე მოეგერიებინა, რასაც გურამ კაშიას გოლი მოჰყვა, მეორე კი პენალტი იყო მისი წაქცევისთვის, დავით ოდიკაძემ რომ გამოიყენა. მოკლედ მერებაშვილი, ისევე, როგორც „დინამოს“ ბოლოდროინდელი მატჩებისას, „რუნავიკთანაც“ გამორჩეულთაგანი გახლდათ...

— ფარერები რომ საფეხბურთო ქვეყანა არ არის და მთლად კარგად ვერ თამაშობენ, კი ვიცოდი, მაგრამ „რუნავიკისგან“ მაინც ცოტა მეტს ველოდი — გვითხრა გიორგი მერებაშვილმა — იოლად მოვუგეთ და, ცხადია, ახლა ჩვენ ვართ ფავორიტები, თუმც არც ის გვავიწყდება, რომ ეს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპია და დიდი ფორის მიუხედავად, ყველა მეტოქესთან ბოლომდე თავგამოდებით უნდა ითამაშო. ფარერებზე ჩვენც მაქსიმალურად დავიხარჯებით. მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებაზე თუ ვიფიქრეთ, შეიძლება დავისაჯოთ, ამიტომ იქაც მოსაგებად ვითამაშებთ.

**— „რუნავიკთან“ შეხვედრის მეორე ტაიმში „დინამო“ თითქოს გაჩერდაო. გოლის გასატანად შემართულები არ ჩანდათ. ასეთი ფეხბურთი მწვრთნელის დავალება იყო თუ...**

— არა, პირიქით, მწვრთნელმა კიდევ ბევრი გოლის გატანისკენ მოგვიწოდა, მაგრამ აღარ გამოგვივიდა. გერმანიაში საკმაოდ გრილოდა და თბილისში ასეთი მაღალი ტემპერატურა რომ დაგვხვდა, ამან შესვენების შემდეგ ფეხბურთელებზე იმოქმედა, მოვდუნდით. თანაც ანგარიშიც 3:0 იყო და ცოტა ჩვენც მოვეშვით.

**— თავად კი გამოგცვალეს. ტრავმა ხომ არ გაგიმიზეზდა?**

— პირველი ტაიმის ბოლოს შორიდან დავარტყი და მუხლის მყესებიც მაშინ ამტკივდა. თუმცა თამაში გავაგრძელე და მერე შემცვალეს. მატჩის შემდეგ მყესების ტკივილი გამიძლიერდა და ექიმების რჩევით, ახლა ერთი-ორი დღე უნდა დავისვენო. ისე, მგონი სერიოზული არაფერია, დავისვენებ და ტკივილებიც გამივლის.

**— რაიმერ ცობელზეც უნდა გკითხო. რით განსხვავდება ის დუშან უჰრინისგან?**

— ფეხბურთზე ყველა მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს და, ცხადია, ასეა ამ შემთხვევაშიც. კონკრეტულად რა განასხვავებს ერთმანეთისაგან ცობელსა და უჰრინს, ვერაფერს გეტყვით. თუმცა კი, ჩემი თქმა რად უნდა, ორივე მაღალი დონის მწვრთნელია და ჯერჯერობით ცობელიც თითქმის ისეთივე ტაქტიკური მონახაზით გვათამაშებს, როგორც უჰრინი. ცობელს საკმაოდ საინტერესო და ახალი ვარჯიშები აქვს. დეტალურად გვიხსნის ყველაფერს და თავადაც ბოლომდეა ჩართული სავარჯიშო პროცესში. მომწონს მისი ვარჯიშებიც და ის ფეხბურთიც, რომელიც მას სურს, რომ ვითამაშოთ. თანაც ცობელი თავის დროზე დიდი გუნდის დიდი ფეხბურთელი იყო და ფეხბურთელის ფსიქიკა ძალიან კარგად იცის.

**— ორი სიტყვა მომავალ სეზონზეც ვთქვათ. როგორ ფიქრობ, შეინარჩუნებს „დინამო“ ჩემპიონის ტიტულს?**

— „დინამო“ ხომ ყოველთვის ჩემპიონობისთვის და თასის მოსაპოვებლად იბრძვის — ასე იქნება მომავალ სეზონშიც. მართალია, ახლახან გუნდი მიხეილ ხუციშვილმა დატოვა, რომელიც ჩვენთვის დიდი ძალა იყო, მაგრამ იმედია, ეს არ დაგვეტყობა და ჩემპიონის ტიტულსაც შევინარჩუნებთ და ზედ თასსაც დავუმატებთ. ჩვენ ეს შეგვიძლია...

**ძობა ინასარიძე**

# ბორჯომი ისევ ჰაერშია

**„ბორჯომი“** ტრადიციას არ ღალატობს და ვლადიმერ ხაჩიძე ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გაარკვევს, რა კონტინგენტი ეყოლება.

გასულ სეზონებში ბორჯომელებს ბლომად ფეხბურთელის იჯარით აყვანის უფლება თუ ჰქონდათ, ახლა დებულება შეიცვალა და მხოლოდ ორ ფეხბურთელს თუ დაიმატებენ, რაც, რა თქმა უნდა, მათ მდგომარეობას გაურთულებს. ამჟამად „ბორჯომი“ ძირითადად ადგილობრივი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული და გუშინწინ ტესტ-მატჩიც გამართა მეზობელ ახალციხის „მესხეთთან“. შეხვედრა სტუმრების გამარჯვებით, 3:1 დასრულდა. „მესხეთიდან“ გოლები ხანიშვილმა, ბეჟანიძემ და სამადაშვილმა გაიტანეს. ახალციხელთა თავკაცმა კობა თედიაშვილმა ეს ფეხბურთელები ათამაშა: *სომხიშვილი, ლეკიშვილი, ლ. მერებაშვილი, კობესაშვილი, რაქვიაშვილი, ვაშაკიძე, ინასარიძე, მ. თაყაძე, სამადაშვილი, სუდაძე, ბეჟანიძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ლ. დავითაშვილი, ქორჩლაშვილი.*

„ბორჯომის“ დირექტორის ვახტანგ მაისურაძის თქმით, ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე ფეხბურთელს აუცილებლად შეიმატებენ.

„ბორჯომი“ და „მესხეთი“ ხვალ კიდევ გეგმავენ ტესტ-მატჩს.

**ლუკა თალაკვაძე**

# პატარა ვიტელებმა სიმურგი გამოსცადეს

**ვიტ ჯორჯია 2 1:1 სიმურგი**

**1:0 ჯანელიძე (15), 1:1 მაზიარი (32)**

**ვიტ ჯორჯია 2: ღურბელეიშვილი (მეფარიძე), ვეკუა, ადამაძე, კასრაძე, კაიშაური (გამრეკლიძე), დვალიშვილი, ფურცელაძე (გოგიაშვილი), ვასაძე, დ. ჯანელიძე, ლანიაშვილი (ცხოვრებაძე), როსტიაშვილი (ზაქრაძე).**

**თბილისის** „ვიტ ჯორჯია“ სლოვაკეთშია, სადაც გუშინ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრას გამართავს ტრნავის „სპარტაკთან“. თბილისში დარჩენილმა სარეზერვო შემადგენლობამ კი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა აზერბაიჯანულ „სიმურგთან“.

ახალგაზრდა ვიტჯორჯიელებმა ანგარიში მე-15 წუთზე გახსნეს — „ვიტ ჯორჯია“ დავით ჯანელიძემ დააწინაურა. 32-ე წუთზე კი „სიმურგის“ უკრაინელმა ლეგიონერმა მაზიარმა ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

თამაში ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა, თუმცა ანგარიში მეტად აღარ შეცვლილა.

აზერბაიჯანელთა შემადგენლობაში ითამაშა ოთხმა ქართველმა ლეგიონერმა: კახა ჩხეტიანმა, მიხეილ მახვილაძემ, დავით ბოლქვაძემ და გრიგოლ დოლიძემ.

**კახა შალამბერიძე**



# რას ფიქრობს გერმანია ფინკე-საქართველოზე? ის იქ რაღაცას მიაღწევს

**ახლა**, როცა ფოლკერ ფინკე საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის მთავარ კანდიდატად განიხილება, ამ სპეციალისტზე უფრო ბევრი გვაინტერესებს, ვიდრე ის, რაც აქამდე ვიცოდით — რომ ქართველ ფეხბურთელებთან უმუშავია; რომ პატარა გუნდთან ერთად შეუძლია რაღაცის მიღწევა; რომ არაკონფლიქტურია; რომ ნაკრებში არასოდეს უმუშავია...

ჩვენ ვებგვერდ www.transfermarkt.de-ს ფორუმიდან ამოვიღეთ გერმანელი გულშემატკივების ნააზრევი და ვფიქრობთ, ეს თქვენთვისაც საინტერესო იქნება...

„ფინკემ თქვა, სიამოვნებით ჩავიბარებ რომელიმე აფრიკულ ნაკრებსო. მგონი, მას წინადადებაც ჰქონდა განადან, თუმც ახლა საქართველოში იწვევენ და, ჩემი აზრით, იქ რაღაცას მიაღწევს.“

„საქართველოსთვის ფინკე გოლიათია. მან ბევრი ქართველი ფეხბურთელი გამოაჩინა გერმანიაში და ქართული მხარე თუ ფინკეს დანიშნავს, ეს სუპერ-გადაწყვეტილება იქნება. მან არაერთხელ თქვა, რაც შეიძლება, მალე მინდა მწვრთნელად დაბრუნება და თან ნაკრებშიო“.

„ფინკეს და სლომკას ავსტრიის ნაკრებში ეპატიჟებიან. ავსტრიელები ჯერ კიდევ ფიქრობენ, ამ ორს შორის რომელი აარჩიონ“.

„მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში საქართველოს შანსი არ აქვს, მაგრამ ფინკეს შეუძლია, ეს ნაკრები ევროპაში ანგარიშგასაწევ ძალად მაინც აქციოს. მგონია კიდეც, რომ იქ კარგ გუნდს დააყენებს. თუმცა ვიცი, რომ საქართველოს უფრო ცნობილი მწვრთნელის მიწვევა სურს“.

„ფინკე ოქროს ხელებით მუშაობდა ქართველებთან“.

„საქართველოს თუ ალექსანდრე იაშვილის დონის ფეხბურთელი ბევრი ჰყავს, მაშინ ფინკე მიაღწევს რაღაც წარმატებას“.

**ილია ნანოგაშვილი**

# ტატანაშვილი პლზენშიც ამერულად: შედის და გააქვს



**რაც** ჩეხურმა „პლზენმა“ „ამერიდან“ დიმიტრი ტატანაშვილი შეიძინა, რამდენიმე ტესტ-მატჩი გამართა და ერთი გამონაკლისის გარდა, ქართველ ფორვარდს მუდმივად ძირითადში აყენებდა. „ტატანა“ კარგად გამოიყურებოდა, „პლზენი“ მისით კმაყოფილი იყო და არის, მაგრამ ჩვენიანს გოლი ვერ გაჰქონდა.

და აი, ახლა მეორე გამონაკლისი მოხდა: პოლონურ „გურნიკთან“ მატჩში 24 წლის ტატანაშვილი 70-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა და ხუთ წუთში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, რითაც თავისიანებს 3:2 მოაგებინა.

ტატანაშვილმა კარგი კომბინაცია დაასრულა გოლით, ასე წერს „პლზენის“ ვებგვერდი.

ამდენი რატომ მოვაყოლეთ, მიხვდებოდით: დიმას ხომ „ამერშიც“ შეცვლაზე შესვლისას გაჰქონდა გოლების უმეტესობა.

**ილია ნანოგაშვილი**

# გიორგი განუგრავას ტაიმი და მოგება

**გიორგი განუგრავამ** „მლადა ბოლესლავისა“ და პოლონური „სლასკის“ ტესტ-მატჩში მეორე ტაიმი გაატარა მინდორზე.

მისიანებმა 2:1 მოიგეს და სამივე გოლი სწორედ შესვენების შემდეგ გავიდა.

აღსანიშნავია, რომ „განუმ“ დაცვაში ითამაშა — მას „ზესტაფონში“ და საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებშიც უბურთავია ამ პოზიციაზე, „მლადა ბოლესლავში“ კი პირველად შეუცვალეს ამპლუა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ემპოლი უფრო ნარსულია

## ლევან მჭედლიძე ვარიანტებს არჩევს



**ათიოდე** დღის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „ემპოლის“ თავდამსხმელ ლევან მჭედლიძესთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც გვითხრა, იტალიაში მივემგზავრებიო.

გუშინ ლევანი „ოლიმპისა“ და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ამხანაგურ მატჩზე შევნიშნეთ და, რა თქმა უნდა, გამოველაპარაკეთ.

— ორი დღეა, რაც თბილისში დავბრუნდი, ვიზა უნდა გავაგრძელო და ამ დღეებში წავალ იტალიაში.

— რას აპირებ, რჩები „ემპოლიში“?

— 31 ივლისამდე გაირკვევა. სავარაუდოდ, „ემპოლის“ დავტოვებ.

— რომელი გუნდიდან გაქვს შემოთავაზება?

— მსურველი საკმაოდ ბევრია, თუმცა ჩამოთვლისგან ჯერ თავს შევიკავებ.

**ნუკრი ლოლაძე**

# იაშვილმა ექვსიდან ერთი იწილადა



**„კარლსრუემ“** გერმანიის ქვედალიგელ „კუპენჰაიმს“ 6:1 მოუგო ტესტ-მატჩში და ერთი გოლი ალექსანდრე იაშვილმა შეაგდო.

„აკუნამ“ პირველი ტაიმი ითამაშა და 39-ე წუთზე 4:0 გახადა ანგარიში. ამ ტაიმში „კარლსრუემ“ 5:0 იძალა.

აღსანიშნავია, რომ KSC-დან ექვსივე გოლი სხვადასხვა ფეხბურთელმა გაიტანა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ვლადიმერ უგრეხელიძე სტანდარდს მიუბრუნდა

**ბოლნისის** „სიონის“ საჩემპიონო სეზონში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ვლადიმერ უგრეხელიძე გახლდათ, რომელმაც მერე ბაქოს „სტანდარდში“ გააგრძელა კარიერა და ამ ორიოდ კვირის წინ ბოლნისში დაბრუნდა — თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ ტანდაბალი მარჯვენა ნახევარმცველი „სიონში“ დარჩებოდა.

თუმცა „კაჭუნია“ „სტანდარდში“ მიბრუნდა და ბაქოს „ინტერ 2“-თან 5:2 მოგებულ შეხვედრაში დუბლიც მიითვალა.



**ილია ნანოგაშვილი**

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის განვითარების პროგრამა. კითხვარი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად მუშაობენ ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე. ჩვენი სურვილია, დაინტერესებულმა პირებმა მაქსიმალურად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. გამოთქვან საკუთარი აზრი და მსურველებმა წარმოადგინონ პროგრამის საკუთარი ვარიანტი.

ამასთან დაკავშირებით, გთავაზობთ კითხვარს. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პროგრამისა და შენიშვნების ავტორს მოეთხოვება ახსნა:

1. რა არის მისი პროგრამის შექმნის მიზეზი და რა აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად.
2. პროფესიულ საქმიანობაში რა კონკრეტული პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად და რომელი მათგანის გადაჭრაა აუცილებელი.
3. კონკრეტულად რა არ აკმაყოფილებდა მოქმედ პროცესში. რა სურს შეცვალოს და როგორ?
4. პროგრამაზე მუშაობისას კონკრეტულად რა ახალი შედეგები იქნა მიღებული. რა მიზანი აქვს და რა შედეგს მოგვცემს მისი რეალიზაცია?
5. ფეხბურთის განვითარების მოცემულ ეტაპზე რომელ კონკრეტულ ამოცანას წყვეტს პროგრამა?
6. რომელი არატრადიციული ხერხები გამოიყენება პროგრამაში და როგორ?
7. რა კრიტერიუმით ხდება ფეხბურთელის განვითარების შეფასება? როგორია შეფასების ეს სისტემა?
8. რაში მდგომარეობს სიახლის თავისებურება და ორიგინალობა? რით განსხვავდება ის ძველისგან?
9. რომელ თეორიულ დებულებასა და სამეცნიერო-კვლევით შედეგებს ეყრდნობა საავტორო პროგრამა?
10. მიუთითეთ გამოყენებული ლიტერატურა.

გთხოვთ, თქვენი იდეები მოგვაწოდოთ ფეხბურთის ფედერაციაში ან გამოგვიგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე GFF@GFF.GE 2008 წლის 1 სექტემბრამდე.

# რად გვინდა რონალდუ?



უესლი სნეიდერი და რობინიო

**კრიშტიანუ რონალდუზე** თუ რამ ისმის, სულ ქება და დიდებაა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „რეალი“ კი მის გამო, ლამის არის, ფიცხელ ომში ჩაებან, მაგრამ მადრიდელთა ჰოლანდიელი ფეხბურთელი უესლი სნეიდერი თურმე სულ სხვა აზრისა ბრძანებულა. სნეიდერმა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა, მერწმუნეთ, „რეალი“ ემაგ პორტუგალიელის გარეშე უფრო ჯანსაღი გუნდი იქნებაო.

მართლაცდა, როგორ უნდა შეეგუონ მადრიდელი ვარსკვლავები იმ ფაქტს, რომ მათი ერთი თანაგუნდელი (თუმცა ამის შესახებ დაბეჯითებით ლაპარაკი ჯერ ნაადრევია) კვირაში 200 ათასი ინგლისური გირვანქის ტოლფას ჯამაგირს აიღებს?

სნეიდერის გათამამებას ხელი, ალბათ, იმანაც შეუწყო, რომ რონალდუს „მანჩესტერიდან“ „რეალში“ გადაყვანის ერთ-ერთ გეგმაში ხურდად სწორედ მას განიხილავდნენ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, თუკი მისი ნათქვამი ჭკუასთან არის ახლოს.

ერთი სიტყვით, მადრიდული კლუბის ხელმძღვანელებმა პორტუგალიელის გადასაბირებლად ზღაპრულ ჯამაგირზე ჩამოაგდეს სიტყვა, სნეიდერმა კი გაფრთხილება არ დაიზარა:

„ეს ჩვენს გასახდელში გაღიზიანებას შემოიტანს. არ შეიძლება, ერთ მოთამაშეს დანარჩენებისგან ამდენად განსხვავებული ხელფასი ჰქონდეს. თან, იცოდეთ, ამას რომ ვამბობ, საკუთარ გაღიზიანებას არ ვგულისხმობ, პირადად მე რონალდუს დიდ ხელფასს შევეგუები, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ სხვა თანაგუნდელებს ჩემნაირი რეაქცია არ ექნებათ. საქმე კი ის გახლავთ, რომ „რეალში“ მისნაირი მოთამაშეები უკვე გვყავს, მაგალითად, არიენ რობენი და რობინიო. ჩემზე თუა ლაპარაკი, მე კრიშტიანუ რონალდუს მხარდამხარ თამაში პირიქით, გამიხერდება, მაგრამ გუნდში კლიმატზეც ხომ უნდა ვიფიქროთ. ამწუთას როგორ არის, იცით? მის შესახებ ჩვენთან არავინ ლაპარაკობს, რადგან მასზე ალმატებულ ხარისხში საუბარი „რეალის“ ძალიან ძლიერი მოთამაშეების დაკნინებას ემსგავსება“.

სნეიდერი დარწმუნებულია, რომ რობინიო რონალდუზე არაფრით ნაკლები არ არის და მადრიდული კლუბის ბოსებს ურჩევს, რონალდუში 80 მილიონი გირვანქის გასროლას „ჩელსის“ კლანჭებიდან რობინიოს დახსნა ამჯობინონ.

რობინიოს ამბავი „სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება. როგორც ზემოთ გითხარით, რონალდუს გადაბირების ერთ-ერთ ვარიანტში ხურდად სნეიდერს განიხილავდნენ, მაგრამ ეს „ოპერაცია რონალდუს“ მთავარი გეგმა სულაც არ გახლავთ. ძირითადი ჩანაფიქრი ბოლო დღეებში გამოიკვეთა და მას „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი არც მალავს: კალ[illegible] ფიქრით, რობინიოში „ჩელსი“ [illegible] 45 მილიონ გირვანქას გამოართმევს, ამ ფულს გადადებული 35 მილიონს დაამატებს და ისე იყიდის პორტუგალიელს. სხვა სიტყვებით, რონალდუ რობინიოზე 35 მილიონი (თან გირვანქით) მეტი ჰგონია და კვლავ არ დაგიდევთ მანჩესტერელთა კატეგორიულ განცხადებებს, რომ რონალდუ არ იყიდება.

სწორედ ასეთი დამოკიდებულების წინააღმდეგ ილაშქრებს უესლი სნეიდერი, რომელიც ამტკიცებს, რომ მადრიდელთათვის დღევანდელი შემადგენლობის შენარჩუნება ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი იქნება.

„ვიმედოვნებ, რომ რობინიო არსად არ წავა, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული: ის რონალდუს ტოლი ფეხბურთელია. რობინიოს დიდ თამაშებში გამოსვლას უწუნებენ, მაგრამ პირადად მე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მონაწილეობით ბევრი პრინციპული თამაში მინახავს, სადაც რონალდუს თავი ვერაფრით გამოუჩენია. რასაც ახლა ვამბობ, კრიტიკა კი არ არის, იმის მტკიცებაა, რომ მოთამაშე, ვინც უნდა იყოს ის, მთელი სეზონის განმავლობაში ერთნაირად ვერ ითამაშებს. ჩემთვის დღევანდელი „რეალი“ის გუნდია, რომელსაც ახალი ფეხბურთელის შემატება არაფრად სჭირდება. გუნდი საკმაოდ ძლიერია და მომავალ სეზონში დიდი წარმატებების მოპოვებას აპირებს. მეორე მხრივ, რასაკვირველია, მაღალი დონის მოთამაშის მოყვანა მხოლოდ გაგვაძლიერებს, მაგრამ ამწუთას მხოლოდ და მხოლოდ თავდამსხმელის დამატებას თუ ვინატრებდი“.

**პაპუნა ძედია**

# მონა კაცი კრიშტიანუ

**შენ დაუკარ!** ყველას სახლის კართან ჩასაფრებულმა ინგლისურმა გაზეთმა „სანმა“, რომელსაც, როგორც ჩანს, ზეპ ბლატერის გამონათქვამი კრიშტიანუ რონალდუს მონობაზე გულს ძალიან მაგრად დასცემია, გამოჩხრიკა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „რეალში“ გაქცევის მსურველი პორტუგალიელი ვარსკვლავი ღამის კლუბში პერის ჰილტონთან და მსგავს „სვეტსკი ნაშებთან“ ერთად გრიალებდა. ეგეც თქვენი მონა, დახეთ რა ამბავშიაო, შესძახა ტაბლოიდმა.

ერთი სიტყვით, რონალდუმ, რომელსაც ამასწინათ ამსტერდამში კოჭის ოპერაცია გაუკეთეს, ყავარჯნით იტაშიტუშა. და ხომ არ გგონიათ, რომ ეს ამბავი სადმე მშობლიურ ფუნშალში ან მარიტიმუში მოხდა? არა, ბატონო, ძალიან მოდური ღამის კლუბი, სადაც „მონა კაცი კრიშტიანუ“ თავდავიწყებას მიეცა, ლოს ანჯელესის უბან ჰოლივუდშია და სახელად „ვილა“ ჰქვია.

„სანის“ მიგზავნილებმა დაინახეს, რომ რონალდუ არაყს წრუპავდა და VIP-ზონაში ნაცნობებთან საუბრობდა. მეტიც, მათ ისიც შეამჩნიეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავს გოგონების მთელი არმია ეტორღიალებოდა — აბა, ისე როგორ. კრიშტიანუსა და მისი მუდამ კაცმიერი ესპანელი გელფრენდის, ნერეიდა გალიარდოს დაცილების ამბავი ხომ ელვის სისწრაფით მოედო პლანეტას, ასე რომ, ბიჭი თავისუფალია...

მაგრამ ერთმა იქ მყოფმა ასე მოყვა: „ის გოგოებისადმი დიდ ინტერესს არ იჩენდა. უბრალოდ იდგა, არაყს სვამდა და მეგობრებთან ლაპარაკობდა“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იქვე, იმავე ღამის კლუბის VIP-ზონაში ტრიალებდა პერის ჰილტონიც, თუმცა, მისი ოჯახის პრესატაშემ ეს ხმები უარჰყო, პერისი მთელი ღამე შინ იყო, გარეთ ცხვირი არ გაუყვიაო.

და ნერეიდა? ნერეიდა, ბატონო ჩემო, იმის საჩვენებლად, რომ რონალდუმ მასთან განშორებით ბევრი წააგო, სარდინიის პლაჟზე დამდგარა და თავისი ავლადიდების ჩვენებას აწყობს — ხაზგასმით მხიარულობს და ცდილობს, ჭორიკანა გაზეთების ფურცლებზე მოხვდეს.

იკითხავთ, რატომ გაცილდა რონალდუ ნერეიდას? მაგას მე კი არა, ჩემი ფული ნდომებიაო... და კიდევ, როგორც ამბობენ, ის ეწყინა, მადრიდის „რეალის“ მცველთან, სერხიო რამოსთან რომ ყოფილა ნაგორავები. თავმოყვარე ბიჭია და „წარმოიდგინა“, რომ შეიძლება, „რეალში“ რამოსის თანაგუნდელი გახდეს...

**პაპუნა ძედია**



ნერეიდა გალიარდო



კრიშტიანუ რონალდუ



პერის ჰილტონი

## ბაბაიაროს მალარიამ შეუშალა

**„ნიუკასლის“** მცველი სელესტინ ბაბაიარო „პორტსმუთში“ გადასვლასთან ახლოს იყო, როდესაც მალარიით დაავადდა და ახლა ლონდონის ჰოსპიტალში მკურნალობს.

როგორც „პორტსმუთის“ მთავარმა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა განაცხადა, ნიგერიელს გუნდში გამოჯანმრთელებისთანავე აიყვანენ.

## ჰალი ძლიერდება

**„ჰალ სიტი“** აგრძელებს შემადგენლობის გაძლიერებას. ბრაზილიელი ჯოვანის შემდეგ კლუბს კიდევ სამი ახალწვეული ჰყავს: 32 წლის ნახევარმცველი ჯორჯ ბოატენგი, რომელიც „ვეფხვებმა“ „მიდლსბროსგან“ შეიძინეს 1,25 მილიონ ევროდ და 28 წლის უნგრელი პეტერ ჰომოში, რომელიც „პლიმუთიდან“ „ჰალში“ 2,5 მილიონად გადმოვიდა. რაც შეეხება მესამეს, ტრინიდადელ მეკარე ტონი უორნერს, იგი თავისუფალი აგენტის სტატუსით გადმობარგდა „სიტიში“.

## ბოსნიჩი ვარჯიშობს

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** ყოფილი მეკარე მარკ ბოსნიჩი ავსტრალიურ „სენტრალ ქოსტ მარინსთან“ ერთად ივარჯიშებს. „მარკს ჩვენს კლუბთან კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ გუნდთან ერთად ვარჯიშის ნება დავრთეთ და უკეთეს კლუბში გადასვლის შესაძლებლობა დავუტოვეთ. სეზონის წინ ვარჯიშებზე ასეთი დონის მოთამაშის გვერდით ყოფნა დადებითად მოქმედებს ახალგაზრდებზე“ — თქვა ავსტრალიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ლაიალო გორმანმა.

## ევანსმა გააახანგრძლივა

**„მანჩესტერ სიტის“** ახალგაზრდა თავდამსხმელმა რედ ევანსმა სამი წლით გააახანგრძლივა თავის კლუბთან კონტრაქტი.

„მოხარული ვარ, რომ მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა. ახლა შემიძლია, აღარ ვიღელვო ახლო მომავალთან დაკავშირებით“ — აღნიშნა უელსის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა.

## მატუსალემი რომს უახლოვდება

**ესპანური** „სარაგოსას“ ბრაზილიელი ნახევარმცველი მატუსალემი ახლოსაა „ლაციოში“ გადასვლასთან, ოღონდ არენდის პირობით.

პრიმერადივიზიონიდან დაქვეითებულმა „სარაგოსამ“ მატუსალემი დონეცკის „შახტარიდან“ შარშან შეიძინა.

## როდრიგესის ბოლონიური იჯარა

**სერია A-ში** აღზევებულმა „ბოლონიამ“ ურუგვაული „პენიაროლიდან“ ერთი წლით ინათხოვრა მარცხენა მცველი დიეგო როდრიგესი, ოღონდ იტალიურ კლუბს მომავალ ზაფხულს უფლება ექნება, სრულად გამოისყიდოს ურუგვაელის ტრანსფერი.

21 წლის როდრიგესმა გასულ სეზონში „პენიროლის“ მაისურით 20 თამაში ჩაატარა.

## მუტუ იების ერთგულია

**„ფიორენტინას“** თავდამსხმელმა ადრიან მუტუმ განაცხადა, რომ მას ფლორენციულ კლუბში სურს კარიერის დასრულება.

„მინდა, კარიერა „ფიორენტინაში“ დავასრულო. ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს და ახალი კონტრაქტის გაფორმებისთვის მზად ვარ.

მუტუთი ამ ბოლო დროს იტალიური „რომა“ და მიუნხენის „ბაიერნიც“ იყვნენ დაინტერესებულნი.

## სკილაჩი თითქმის სევილიელია

**ფრანგული** „ლიონი“ და ესპანური „სევილია“ სებასტიან სკილაჩის ტრანსფერზე შეთანხმდნენ. საფრანგეთის ნაკრების მცველი უკვე ჩავიდა სევილიაში, სადაც სამედიცინო შემოწმების შემდეგ კონტრაქტზე მოაწერს ხელს. სავარაუდოდ, სკილაჩი ანდალუზიურ კლუბთან 2011 წლამდე დადებს ხელშეკრულებას.

## ხეტაფემ გავილანი გამოისყიდა

**ესპანურმა** „ხეტაფემ“ საბოლოოდ გაიფორმა „ვალენსიას“ ნახევარმცველი ხაიმე გავილანი, ვინც მადრიდულ კლუბში 2007 წლის დეკემბრიდან იჯარით გამოდიოდა, ახლა კი 100%-ით ხეტაფელია. კონტრაქტის მიხედვით, გავილანი კლუბში 4 წლით დარჩება.

## ალმეიდას კუნთი დაეჭიმა

**ბრემენის** „ვერდერის“ თავდამსხმელ უგუ ალმეიდა თავის გუნდს წინასასეზონო მოსამზადებელ ვარჯიშებზე დააკლდება. 24 წლის პორტუგალიელს ჯერ კიდევ პირველ ვარჯიშზე გაეჭიმა ბარძაყის კუნთი და მას შემდეგ ველარ შეძლო რეაბილიტირება.

„ველარ ვარჯიშობდა, ამიტომაც გადავწყვიტეთ, ეს ნაბიჯი გადაგვედგა. ვნახოთ, უახლოეს დღეებში როგორ წარიმართება მისი მკურნალობა“ — თქვა „მუსიკოსთა“ დამრიგებელმა თომას შააფმა.

## რიბერი კვლავ საოპერაციოა

**ევრო 2008-ზე** ესპანეთთან მატჩისას მიღებული ტრავმის შემდეგ ვარაუდობდნენ, რომ ფრანკ რიბერი სექტემბერში მაინც დაუბრუნდებოდა მწვანე მინდორს, მაგრამ, როგორც ჩანს, მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველს ხელმეორე ოპერაცია დასჭირდება და ფრანგის რეაბილიტაცია მინიმუმ ორ თვეს გასტანს.

**არჩილ ძოგახიძე**

# დავიღალე, ბარსელონაში მინდა!

## არშავინს ბავშვობის ოცნებაში გაზპრომი არ უშვებს




**ანდრეი არშავინი** კიდევ ერთხელ გამოუტყდა „ბარსელონას“ სიყვარულში, მაგრამ ეჭვობს, რომ პასუხად „ბარსას“ მაისურას და სარფიან კონტრაქტს ხონჩით მიართმევენ.

27 წლის ფორვარდი სანკტ-პეტერბურგიდან კატალონიისკენ მიიწევს, მაგრამ მისი ტრანსფერი „ზენიტის“ პატრონმა „გაზპრომმა“ ორი კვირის წინ უკვე დაამუხრუჭა.

„ბარსელონამ“ 15 მილიონი ევრო შეაჩერა მეგაზეების კლუბს, მაგრამ რუსებმა ხელი აუკრეს — გაათრმაგეთო.

არშავინი იმედოვნებს, რომ „გაზპრომი“ არ გაწუწკდება და ფასს დაუწევს, რათა მისი ბავშვობის ოცნება ანუ „ბარსელონაში“ თამაში ახდეს.

კატალონიურმა კლუბმა ერთი სლავი — ალექსანდრ გლები — უკვე იყიდა, ზენიტელი კი ელის, რომ მის გადასაბირებლად „ბარსა“ ნაბიჯს კიდევ გადადგამს.

„მათ უკვე ჰყავთ გლები და ამის მერე უკვე აღარ ვიცი, მეც დავჭირდები თუ არა — თქვა არშავინმა — ჩვენ სხვადასხვა ამპლუის ფეხბურთელები ვართ, მაგრამ შესაძლოა, „ბარსამ“ ჩემს ტრანსფერზე ფულის დახრჯვა აღარ ისურვოს.

მაინც იმედი მაქვს, რომ „ზენიტს“ ერთხელ კიდევ მიაკითხავენ, თუმც ჩემი კლუბი სანაცვლოდ საკმაოდ დიდ თანხას ითხოვს. ორჯერ მეტს, ვიდრე „ბარსელონა“ სთავაზობს.

ვუთხარი მწვრთნელს (დიკ ადვოკაატი), რომ წასვლა გადავწყვიტე. გამორიცხული არაა, რომელიმე სხვა დიდ კლუბში აღმოვჩნდე, მაგრამ ფაქტია — „ზენიტში“ დარჩენა აღარ მსურს. უსაქმოდ ყოფნა და უთამაშებლობაც არ მინდა. მწვრთნელს და კლუბს შევუთანხმდი, რომ ჩემი ტრანსფერის მოგვარებამდე მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ვითამაშებ“.

ფეხბურთელმა უარყო ცნობა, თითქოს აგენტთან ერთად ლონდონში დაეხეტებოდა და „არსენალთან“ და „ჩელსისთან“ მოლაპარაკებას მართავდა.

„არანაირ მოლაპარაკებაზე ლონდონში არ ვყოფილვარ — ბრძანა არშავინმა — ევროპის ჩემპიონატის შემდეგ „ზენიტმა“ მოკლე შვებულება მომცა, მაგრამ ინგლისში ფეხი არ დამიდგამს“.

მადრიდის „რეალის“ პატრონებს რომ ჰკითხო, მსოფლიოს ყველა ფეხბურთელი მათ გუნდში თამაშზე ოცნებობს, მაგრამ დახეთ არშავინს, რომც შემომთავაზონ, „სამეფო კლუბში“ არ გადავიდოდიო. თითქოს, რამონ კალდერონმა მადრიდიდან სანკტ-პეტერბურგამდე მუხლებზე ხოხვით ცხრა შარვალი გაცვითა.

„მე უარს ვეტყოდი. ჩემთვის უსაყვარლესი „ბარსას“ უდიდესი მეტოქის მაისურაში თავი ვერ წარმომიდგენია. „რეალში“ გადასვლის ვარიანტი არ მქონია, მაგრამ არა, იქ ნამდვილად ვერ ვითამაშებდი“ — განაცხადა რუსმა.

„ზენიტი“ საარაკო კონტრაქტს ჰპირდებოდა ფორვარდს, რითაც რუსეთის უმდიდრეს ფეხბურთელად აქცევდა, მაგრამ არშავინი ფულს არ დასდევს: „ფული? მეეჭვება, რომ ბევრმა ევროპულმა გრანდმა შემომთავაზოს ისეთივე კონტრაქტი, როგორიც „ზენიტმა“ დამიდო მაგიდაზე. სქელი საფულე კი არა, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდსა და ლიგაში თამაში მსურს და ამიტომაც მიმიწევს გული „ბარსასკენ“.

ჩემმა ყველა მეგობარმა იცის, რომ „ბარსელონაში“ თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. ახლაც თვალწინ მიდგას რონალდ კუმანის გოლი ჩემპიონთა ლიგის ფინალში და გუნდის საუცხოო ფეხბურთი. იქიდან ჩამებეჭდა გონებაში და ვთქვი, რომ ერთ დღესაც „ბარსას“ ფეხბურთელი უნდა გავხდე-მეთქი.

მათ შეუძლიათ, 7:0 მოიგონ ან 3:4 წააგონ, მაგრამ ორივე შემთხვევაში გულშემატკივარი ისიამოვნებს. კუმანის, ლაუდრუპის, სტოიჩკოვის და გვარდიოლას ფეხბურთით მოხიბლული ვიყავი.

ლეო მესის და, მით უმეტეს, ტიერი ანრის გვერდით თამაში კი ხომ მთლად ფანტასტიკური იქნებოდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩეხეთი რადას ჩაბარდა



**ჩეხეთის** ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი პეტერ რადა გახდა. აქამდე ეს სპეციალისტი ვეტერანი კარელ ბრიუკნერის თანაშემწედ მუშაობდა. მოგეხსენებათ, ბრიუკნერს წასვლა საკმაოდ დიდი ხნის წინ ჰქონდა გადაწყვეტილი, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გამოვიდოდა ნაკრები ევრო 2008-ზე.

49 წლის რადას ფეხბურთიც უთამაშია და თავის დროზე ჩეხეთის ნაკრების ღირსება 11-ჯერ დაუცავს. მწვრთნელის რანგში კი პრაღის „სლავიაში“, „პლზენში“, „იაბლონეცსა“ და ორჯერ „ტეპლიცეში“ უმუშავია.

1993 წლიდან მოყოლებული, რადა ჩეხეთის რესპუბლიკის ნაკრების მხოლოდ მეოთხე მწვრთნელია. აქამდე ჩეხებს დუშან უჰრინი, იოჟეფ ჰოვანეცი და ბრიუკნერი თავკაცობდნენ. საუბრობდნენ ჰოვანეცის შესაძლო დაბრუნებაზე, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ არჩევანი რადაზე შეაჩერა, რომლის პირველი გამოცდაც 20 აგვისტოს „უემბლიზე“ ინგლისთან ამხანაგურ მატჩში შედგება.

**გიორგი ძაძამაძე**

# გარეთ ბერი, შიგნით ონილი



**გარეთ ბერი** მარტინ ონილს პირისპირ ვერ შეხვდა — „ასტონ ვილას“ მწვრთნელმა თავისი ერთდროს რჩეული მოთამაშის ვარჯიშზე ყოფნა არც კი შეიმჩნია.

კონფლიქტის არსი და მიზეზი გეხსომებათ: ბერის „ლივერპულში“ სურდა გადასვლა და ამისათვის ყველა ღონეს ხმარობდა, ევროპის ჩემპიონატის დღეებში კი ტელეტრანსლაციებით დაკავებულ ონილზე ბრაზით თქვა, საკუთარი კლუბის საქმეებზე ფიქრს აღარ კადრულობს და ჩემთან დასალაპარაკებლად ვერ იცლისო. ამ ნათქვამმა ონილი გააფიცხა და თუ გახსოვთ, ერთიხანობა ბერის, გარდა იმისა, რომ ფული დაუქვითა, „ასტონ ვილას“ კუთვნილ ოფისებსა და სხვა შენობებში (თვით საკლუბო მაღაზიებშიც კი) აუკრძალა შესვლა. და აი, ახლა, ასეთი რამ მოხდა:

ბერი „ვილას“ Bodymoor Heath-ის ცენტრში ათის ოც წუთზე მივიდა და ოთხი საათის შემდეგ იქაურობა ისე დატოვა, რომ ონილთან სიტყვაც არ გაუცვლია — მწვრთნელს „უფრო მნიშვნელოვანი“ საქმეები ჰქონდა.

რაც შეეხება ვარჯიშს, ის 90 წუთს გაგრძელდა და გარეთ ბერიმ ოდნავ იტკინა ფეხი.

საბოლოოდ ფეხბურთელი თავის „ასტონ მარტინში“ სიტყვის უთქმელად ჩაჯდა და წავიდა.

შაბათს „ასტონ ვილას“ ინტერტოტოს თასზე დანიურ „ოდენსესთან“ აქვს თამაში, რომელშიც ონილი ბერის არ ათამაშებს. ახლა, შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა, საერთოდ რატომ დაუშვა მწვრთნელმა ფეხბურთელი ვარჯიშზე? იმიტომ, რომ კანონის თანახმად, ორ კვირაზე მეტით ვერ დაითხოვდა.

**პაპუნა ძიდია**

# შევა და კარვალიუ რჩებიან




**ანდრეი შევჩენკომ** მაინც გადაწყვიტა პრემიერლიგაში დარჩენა, მიუხედავად იმისა, რომ მას სერია A-ში შეეძლო კარიერის გაგრძელება. უკრაინელმა ფორვარდმა წინასწარ დაიწყო ინდივიდუალურ მწვრთნელთან ერთად ვარჯიში, რათა მზად იყოს იმ დატვირთვებისთვის, რომლებსაც სკოლარი მთელ გუნდს უმზადებს. „შევჩენკო „ჩელსის“ შესაფერისი მოთამაშეა — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში სკოლარიმ — თუ ვარჯიშზე დავინახავ ანდრეის მუშაობას და დავრწმუნდები მის შესაძლებლობებში, მაშინ იგი აუცილებლად მოხვდება შემადგენლობაში. გასულ სეზონში მხოლოდ 12-ჯერ გამოჩნდა ძირითადში და 8 გოლი გაიტანა“.

როგორც ჩანს, გადაწყვეტილია კარვალიუს საკითხიც, რომელიც უკვე ელაპარაკა სკოლარის და მზადაა, მის გუნდში ითამაშოს: „დავბრუნდი და ძალიან მიხარია ბიჭების ნახვა, ჩვენ ერთად გავაგრძელებთ კლუბის ღირსებისთვის ბრძოლას, რასაც წინა 5 წლის განმავლობაში ვაკეთებდით“ — თქვა რიკარდუ კარვალიუმ.

**არჩილ ძოგახიძე**

## ბორდომ ვენდელი დაიტოვა

**ფრანგულმა** „ბორდომ“ ორი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი ბრაზილიელ ნახევარმცველ ჟერალდო ვენდელს. ახალი ხელშეკრულება 2012 წლამდეა გათვალისწინებული. შეგახსენებთ, რომ მომავალ სეზონში ჟირონდელები ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ.

## კაპომ უიგანი აირჩია

**ოლივიე კაპომ** სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „უიგან ატლეტიკთან“. „ბირმინგემის“ ყოფილი ნახევარმცველი თავის ახალ კლუბში 3,5 მილიონ გირვანქად გადავიდა.

„ჩვენს გუნდში ოლივიეს ხილვის ძალიან დიდი სურვილი მქონდა. იგი უნივერსალური მოთამაშეა და დიდ სარგებელს მოგვიტანს“ — განაცხადა „უიგანის“ მთავარმა მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა. აღსანიშნავია, რომ კაპოს მარსელის „ოლიმპიკიც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ სტივ ბრიუსმა, რომელიც ოლივიესთან ერთად „ბირმინგემში“ მუშაობდა, თავისი გაიტანა.

**არჩილ ძოგახიძე**

# ეტო, ოოოოოოოოო!




**წარმოიდგინეთ,** რომ ამას ლევიტანის ხმით აცხადებენ: გუშინ, სისხამ დილით, პარიზ-ტაშკენტის რეისით, უზბეკეთის დედაქალაქში ჩაფრინდა 27 წლის კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტოო. ფეხბურთელს თან ახლდა „ბარსელონას“ დელეგაცია სამი კაცის შემადგენლობით: აგენტი ხოსე მარია მესალესი და კლუბის თანამშრომლები: ხუან პატსი და... ნიკოლოს მიქაძე.

ტაშკენტის საერთაშორისო აეროპორტში ადგილობრივი კლუბის „კურუვჩის“ ფანებმა საპატიო სტუმრებს საზეიმო დახვედრა მოუწყვეს, რის შემდეგაც კატალონიური დელეგაცია ტაშკენტის „ინტერკონტინენტალში“ გაემართა. სტუმართა დღის განრიგში შედის: დასვენება, საუზმე (დედას გაფიცებთ, ხომ არ გგონიათ, რომ ვშაყირობთ? ვინც ასე ფიქრობს, შეუძლია „კურუვჩის“ საიტი დაქოქოს და რაც აქ გვიწერია, თავისი თვალით წაიკითხოს), უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფისის მონახულება, შეხვედრა უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან, უზბეკეთის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა, კერძოდ კი ისტორიული კომპლექსის „ხაზრათიიმომის“ დათვალიერება, სადილი სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ და პრესკონფერენცია მასობრივი ინფორმაციის წყაროებისთვის. მოგვიანებით სტუმრების პროგრამა სტადიონ „მხსკ“-ზე გაგრძელდება.

| 16052 | ლინცერი-ავსტრია | 1.70 | 1.95 |
| 16065 | ცსკა-მოსკოვი | 1.23 | 3.60 |
| 16066 | ენერგია-დინამო | 2.05 | 1.65 |
| 16068 | ტერეკი-რუბინი | 2.30 | 1.50 |
| 16071 | ტრნავა-დუბნიცა | 1.11 | 5.70 |
| 16076 | ჰორსენსი-სიონდერიისკე | 1.17 | 4.10 |
| 16078 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1.45 | 2.45 |
| 16080 | ნორდსიელანდი-ბრიონდბიუ | 2.45 | 1.40 |
| 16081 | ლილესტრიომი-ბოდიო გლიმტი | 1.34 | 2.80 |
| 16085 | ბრანი-ალესუნდი | 1.11 | 5.70 |
| 16086 | ტრომსიო-ჰამ კამი | 1.14 | 4.70 |
| 16087 | ლინი-სტრიომსგოდსეტი | 1.32 | 3.00 |
| 16097 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 1.80 | 1.85 |
| 16098 | ჰამარბი-იორებრო | 1.12 | 4.60 |
| 16099 | სუნდსვალი-გაის | 1.62 | 2.05 |
| 16263 | ლუცერნი-ვადუცი | 1.32 | 3.00 |
| 16264 | ქსამაქსი-ციურიხი | 2.20 | 1.50 |
| 16075 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1.12 | 4.60 |
| 16084 | სტაბეკი-ფრედრიკსტადი | 1.38 | 2.65 |
| 16079 | ვეილე-ოდენსე | 2.90 | 1.32 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17051 | რიდი-კაფენბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17261 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17050 | რაპიდი-ავსტრია კერნტენი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | ნალჩიკი-კრილია | 1.85 | 1.95 |
| 17062 | ზენიტი-ამკარი | 1.85 | 1.95 |
| 17063 | ტომსკი-ხიმკი | 1.85 | 1.95 |
| 17064 | ლოკომოტივი-სპარტაკი | 1.85 | 1.95 |
| 17069 | პეტრჟალკა-ტატრანი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | კოშიცე-რუჟომბეროკი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | სლოვანი-ბ.ბისტრიცა | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ნიტრა-სტრედა | 1.85 | 1.95 |
| 17077 | რანდერსი-ორჰუსი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | მოლდე-ვოლერენგა | 1.85 | 1.95 |
| 17096 | გიოტებორგი-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 17262 | არაუ-სიონი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | ლინცერი-ავსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17053 | ზალცბურგი-ალტახი | 1.85 | 1.95 |
| 17065 | ცსკა-მოსკოვი | 1.85 | 1.95 |
| 17066 | ენერგია-დინამო | 1.85 | 1.95 |
| 17068 | ტერეკი-რუბინი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | ტრნავა-დუბნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17076 | ჰორსენსი-სიონდერიისკე | 1.85 | 1.95 |
| 17078 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ნორდსიელანდი-ბრიონდბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17081 | ლილესტრიომი-ბოდიო გლიმტი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | ბრანი-ალესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17086 | ტრომსიო-ჰამ კამი | 1.85 | 1.95 |
| 17087 | ლინი-სტრიომსგოდსეტი | 1.85 | 1.95 |
| 17097 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ჰამარბი-იორებრო | 1.85 | 1.95 |
| 17099 | სუნდსვალი-გაის | 1.85 | 1.95 |
| 17263 | ლუცერნი-ვადუცი | 1.85 | 1.95 |
| 17264 | ქსამაქსი-ციურიხი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | სტაბეკი-ფრედრიკსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17079 | ვეილე-ოდენსე | 1.85 | 1.95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში
(ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12051 | რიდი-კაფენბერგი 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12261 | იანგ ბოიზი-ბაზელი 2,5 | 2.30 | 1.50 |
| 12050 | რაპიდი-ავსტრია კერნტენი 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12061 | ნალჩიკი-კრილია 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12062 | ზენიტი-ამკარი 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12063 | ტომსკი-ხიმკი 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12064 | ლოკომოტივი-სპარტაკი 2,5 | 1.90 | 1.80 |
| 12077 | რანდერსი-ორჰუსი 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12082 | მოლდე-ვოლერენგა 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12096 | გიოტებორგი-გეფლე 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12262 | არაუ-სიონი 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12052 | ლინცერი-ავსტრია 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12053 | ზალცბურგი-ალტახი 2,5 | 2.50 | 1.40 |
| 12065 | ცსკა-მოსკოვი 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12066 | ენერგია-დინამო 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12068 | ტერეკი-რუბინი 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12076 | ჰორსენსი-სიონდერიისკე 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12078 | ოლბორგი-მიდტიულანდი 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12080 | ნორდსიელანდი-ბრიონდბიუ 2,5 | 2.00 | 1.65 |
| 12081 | ლილესტრიომი-ბოდიო გლიმტი 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12085 | ბრანი-ალესუნდი 2,5 | 2.10 | 1.50 |
| 12086 | ტრომსიო-ჰამ კამი 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12087 | ლინი-სტრიომსგოდსეტი 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12097 | ტრელებორგი-ჰალმსტადი 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12098 | ჰამარბი-იორებრო 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12099 | სუნდსვალი-გაის 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12263 | ლუცერნი-ვადუცი 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12264 | ქსამაქსი-ციურიხი 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12084 | სტაბეკი-ფრედრიკსტადი 2,5 | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში,
ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14051 | რიდი-კაფენბერგი | 1.70 | 2.20 |
| 14261 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 14050 | რაპიდი-ავსტრია კერნტენი | 1.20 | 2.60 |
| 14061 | ნალჩიკი-კრილია | 1.80 | 2.00 |
| 14062 | ზენიტი-ამკარი | 1.30 | 2.50 |
| 14063 | ტომსკი-ხიმკი | 1.30 | 2.50 |
| 14064 | ლოკომოტივი-სპარტაკი | 1.90 | 1.90 |
| 14069 | პეტრჟალკა-ტატრანი | 1.20 | 2.60 |
| 14070 | კოშიცე-რუჟომბეროკი | 1.75 | 2.10 |
| 14072 | სლოვანი-ბ.ბისტრიცა | 1.30 | 2.50 |
| 14074 | ნიტრა-სტრედა | 1.20 | 2.60 |
| 14077 | რანდერსი-ორჰუსი | 1.70 | 2.20 |
| 14082 | მოლდე-ვოლერენგა | 2.10 | 1.75 |
| 14096 | გიოტებორგი-გეფლე | 1.20 | 2.60 |
| 14262 | არაუ-სიონი | 1.80 | 2.00 |
| 14052 | ლინცერი-ავსტრია | 1.85 | 1.95 |
| 14065 | ცსკა-მოსკოვი | 1.45 | 2.40 |
| 14066 | ენერგია-დინამო | 2.00 | 1.80 |
| 14068 | ტერეკი-რუბინი | 2.10 | 1.75 |
| 14071 | ტრნავა-დუბნიცა | 1.20 | 2.60 |
| 14076 | ჰორსენსი-სიონდერიისკე | 1.30 | 2.50 |
| 14078 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1.75 | 2.10 |
| 14080 | ნორდსიელანდი-ბრიონდბიუ | 2.20 | 1.70 |
| 14081 | ლილესტრიომი-ბოდიო გლიმტი | 1.70 | 2.20 |
| 14085 | ბრანი-ალესუნდი | 1.20 | 2.60 |
| 14086 | ტრომსიო-ჰამ კამი | 1.30 | 2.50 |
| 14087 | ლინი-სტრიომსგოდსეტი | 1.65 | 2.30 |
| 14097 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 1.90 | 1.90 |
| 14098 | ჰამარბი-იორებრო | 1.20 | 2.60 |
| 14099 | სუნდსვალი-გაის | 1.80 | 2.00 |
| 14263 | ლუცერნი-ვადუცი | 1.65 | 2.30 |
| 14264 | ქსამაქსი-ციურიხი | 2.10 | 1.75 |
| 14075 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1.20 | 2.60 |
| 14084 | სტაბეკი-ფრედრიკსტადი | 1.70 | 2.20 |
| 14079 | ვეილე-ოდენსე | 2.30 | 1.65 |

# კამანი ფესვებით თამაშობს
## კანადამ დალამბერში გული ვერ დაინახა


დირკ ნოვიცკი

**პეკინის** ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის საგზურებისთვის გადამწყვეტი ბრძოლა იწყება ათენში, სადაც ჯგუფური ეტაპი დასრულდა და ჯერი მეოთხედფინალებზეა.

9 გუნდს კარგა ხანია, დაბევებული აქვს საპეკინო ლიცენზიები, რომლებიც მათ კონტინენტურ პირველობებსა თუ სპეციალურ შესარჩევ ტურნირებზე მოპოვეს. აი, ისინიც: აშშ, ანგოლა, ესპანეთი, რუსეთი, ლიტვა, არგენტინა, ირანი, ავსტრალია და მასპინძელი ჩინეთი. დარჩენილი 3 საგზური კი სწორედ იმ ათენურ საკვალიფიკაციო ტურნირში გათამაშდება, თავში რომ მოგახსენთ.

12 მონაწილე 4 ჯგუფში იყო განაწილებული და გუშინ მეოთხედფინალისტიც გაირკვა. გერმანიის ნაკრებმა განთქმული დირკ ნოვიცკის დიდებული თამაშის წყალობით 89:71 დაამარცხა ახალი ზელანდია და პლეი ოფში ჯგუფური პირველი ადგილიდან გავიდა.

„დირკი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და მას პირადად შეუძლია ნებისმიერი მეტოქის დამარცხება — თქვა კრის კამანმა, რომელიც სულ ახლახან გახდა გერმანიის ნაკრებში ნოვიცკის თანაგუნდელი. „ლოს ანჯელეს კლიპერსის" ცენტრ კამანს გერმანული ფესვები გამოუქექეს და ამ ქვეყნის მთავრობამაც დაუნანებლად უბოძა მას მოქალაქეობა — ნაკრების მაისურაც მოარგო და კრისი უკვე გერმანიისთვის იხვეჭს ქულებს. მან ახალზელანდიელებთან მატჩში 20 ქულას მოუკრა პირი და მეტსაც მოქაფავდა, ბოლო მეოთხედში გასიებული კოჭის გამო მოედანი რომ არ დაეტოვებინა. თავად ნოვიცკიმ კი 35 ქულა დაასეტყვა სამხრეთელებს და გერმანიას მეოთხედფინალში შედარებით სუსტი ბრაზილია არგუნა.

სამხრეთამერიკელებს სამი ნბაელი — ფინიქსელი ლეანდრო ბარბოსა, დენვერელი ნენე ილარიო და კლივლენდელი ანდერსონ ვარეჟაო — აკლიათ, თორემ არავისზე ნაკლები გუნდი არ ეყოლებოდათ. ასე კი ბრაზილიელებმა ტურნირის მასპინძელ საბერძნეთთან 20 ქულით წააგეს და მიუხედავად მეოთხედფინალში გასვლისა, გერმანიასთან ხეირი არ ელით. ბრაზილიის ჯგუფში მძლეველი საბერძნეთი კი მეოთხედფინალში ახალ ზელანდიას შეხვდება.

ჯგუფიდან ძლივს გააღწია კანადის ნაკრებმა, რომელსაც ცნობილი სტივ ნეში ხომ აკლია და, გუშინწინ გუნდიდან მეორე ნბა-ელი, ფილადელფიელი სამუელ დალამბერიც გააგდო. კანადელებმა ჯგუფის პირველ ჯახში სლოვენიასთან წააგეს, ხოლო დალამბერმა 8 ცდიდან მხოლოდ ერთი ორიანი ჩააგდო და საბოლოოდ 4 ქულას დასჯერდა.

„გუნდში ისეთი მოთამაშეები გვინდა, რომლებსაც ბრძოლის ჟინი და მოტივაცია არ აკლიათ, ხოლო უგულოდ მობურთალ ხალხს მოედანზე არ გავაჩერებთ" — ეს თქვა კანადელთა თავკაცმა ლეო რუტინსმა და „ფილადელფიას" ავტორიტეტული ცენტრი გუნდიდან დაითხოვა.

კანადელებმა მეოთხედფინალის საგზური სამხრეთ კორეას ბოლო წამებზე გამოჰგლიჯეს. აზიელები მთელი თამაში ლიდერობდნენ, მაგრამ „ნეკერჩხლის ფოთლებმა" მატჩის ბოლო ორწუთნახევარი 14:0 (!) მოიგეს და დრამატულ ფინალში 79:77 იძალეს.

კანადის საპლეიოფო მეტოქე საკუთარი ჯგუფის გამარჯვებული ხორვატიაა, ხოლო ბოლო მეოთხედფინალური წყვილი სლოვენიამ და პუერტო რიკომ შეადგინეს. მეოთხედფინალური მატჩები ათენში დღეს გაიმართება და გამოვლინდება ის 4 ნაკრები, რომელთაგანაც პეკინის ოლიმპიადის საგზურს 3 მოიპოვებს.

**ირაკლი პერტაია**



# კლიპერსმა ფარი კემბით გაამაგრა

**გამალებული** მიდი-მოდი გრძელდება ნბა-ს არაფრითგამორჩეულ კლუბ „კლიპერსში", რომელმაც გუშინ მეორე ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარხა. ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მცველი, გასული სეზონის საუკეთესო დამფარებელი მარკუს კემბი „დენვერიდან" ამ ლოსანჯელესურ გუნდში გადაბარგდა.

გასულ კვირაში „კლიპერსმა" „გოლდენ სტეიტიდან" სუპერგამთამაშებელი ბაირონ დევისი შეიმატა და ბუნებრივია, კლუბის ბიუჯეტი გვარიანად შეათხელა. ამიტომაც იყო, ლოსანჯელესელები ორმა წამყვანმა მოთამაშემ — ელტონ ბრენდმა („ფილადელფიაში" გადავიდა) და კორი მეჯიტიმ (გოლდენ სტეიტი) დატოვა.

„ვფიქრობ, კემბი კარგი დანამატია ჩვენი გუნდისთვის — ამბობს კლიპერსელთა გენერალური მენეჯერი ელჯინ ბეილორი — კრის კამანის გვერდით ის „კლიპერსის" შემტევ პოტენციალს ძალიან აამაღლებს და ფარქვეშაც ნაკლები პრობლემები გვექნება.

კემბი-კამანის ტანდემი მართლაც ერთ-ერთი უძლიერესი იქნება მთელ ნბა-ში. კემბი გასულ სეზონში საშუალოდ 13,1 მოხსნას იხვეჭდა, ვისაც კამანი კი სულ ოდნავ (12,7) ჩამორჩებოდა.

„კლიპერსმა" „დენვერს" კემბის სანაცვლოდ 10 მილიონი დოლარი გადაუხადა და თან 2010 წლის დრაფტის მეორე წრეში არჩევის უფლება დაუთმო. ერთადერთი, რაზეც ალბათ გული ეთანაღრებათ ლოსანჯელესელებს, კემბის ტრავმიანობაა. ეს გოლიათი კაცი მეათე სეზონია, ნბა-ში თამაშობს, თუმცა კარიერის მესამედი მკურნალობა-რეაბილიტაციაში გაუტარებია.

**ირაკლი პერტაია**



# ტოჩინოშინის ხუთში ოთხი
## კოკაი მესამედ დამარცხდა

**ივლისის** ბაშოს მე-5 დღე წარმატებული გამოდგა ტოჩინოშინად წოდებული ლევან გორგაძისთვის. ქართველმა ფალავანმა, რომელიც მაკუჩი დივიზიონში დასავლეთის მე-14 მაეგაშირას სტატუსით გამოდის, კეკაესით დაამარცხა დასავლეთის მე-15 მაეგაშირა კიკეძოე. ამჟამად გორგაძის ანგარიშზე 4 გამარჯვებაა. იგი მომდევნო ორთაბრძოლას ორი მოგების პატრონ კორიუსთან გამართავს.

კიდევ ერთი ქართველი გოლიათი, კოკაიდ წოდებული ლევან ცაგურია ბოლო ორი ბაშოა, რაც ძალიან ინერტულად ჭიდაობს. ჯერ მაისის ბაშოზე ცუდი გამოსვლის გამო პირველ მაეგაშირობიდან მეათემდე ჩამოაქვეითეს და ახლაც, „შავი ზღვის" ივლისის ბაშოს მოსავალს კარგი პირი არ უჩანს. იგი ამჯერად ოსიტაოსით დამარცხდა სამი წაგების მქონე აღმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა ტიოხიბიკისთან. ცაგურიას სამი მარცხი და ორი გამარჯვება მოუგროვდა. მორიგ ორთაბრძოლას კოკაი აღმოსავლეთის მე-8 მაეგაშირა ტაკამისაკარისთან ჩაატარებს.

ნაგოიას ბაშოზე მეორედ წააქციეს ლეგენდარული მონღოლი იოკოძუნა ასასიორუ. დიდი ჩემპიონის ძლევა დასავლეთის მე-3 მაეგაშირა ტოჩინონადამ მოახერხა. ასასიროუ მომდევნო შერკინებას აღმოსავლეთის მე-4 მაეგაშირა ბაკანოსატოსთან ჩაატარებს.

ჯერჯერობით წაუგებლად მიდიან მეორე მონღოლი იოკოძუნა ჰაკუხო და აღმოსავლეთის სეკივაკე ამა. ჰაკუხომ იორიკირით მოუგო დასავლეთის მე-2 მაეგაშირა ხოკუტორიკის, ამამ კი ოსიტასით დააგდო ოძეკი ტიეტაიკაი. მე-6 ბრძოლას ხაკუხო აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა ფუტენოს გაუმართავს, ხოლო ამა სეკივაკე კოტოსეგიკუს დაუპირისპირდება.


კოკაი

**ზურაბ მიგრიაული**



# ახალი დებიუტი
## გიორგაძემ ოქროს დედოფლით დაიწყო

**ჭადრაკის** ფედერაციის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ მოღვაწეობა აქტიურად დაიწყო. მან და ს.ს. „იჯი ჯგუფის" მარკეტინგის მენეჯერმა მაგდა ჩანტლაძემ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე ერთობლივი პროექტი წარადგინეს, რომლის მიხედვითაც თბილისში საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი „ოქროს დედოფალი", ჩატარდება.

შეჯიბრება 16 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებშია დაგეგმილი. 1-დან 7 ოქტომბრამდე გასამართი ტურნირის საპრიზო ფონდი 2200 აშშ დოლარს შეადგენს. გამარჯვებულს თანხის გარდა გადაეცემა თასი — „ოქროს დედოფალი", ხოლო პრიზიორები ვერცხლისა და ბრინჯაოს ელემენტებიანი საპრიზო სიგელებით დაჯილდოვდებიან.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში 200-მდე ახალგაზრდა მოჭადრაკე ითამაშებს. მოწვევები უკვე გაეგზავნა სომხეთის, აზერბაიჯანისა და ირანის ჭადრაკის ფედერაციებს.

აქვე გეტყვით, რომ ტურნირის ფარგლებში ჩატარდება ერთდროული თამაშის სეანსები გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკეების მონაწილეობით. გარდა ამისა მოეწყობა გამოფენა და სხვადასხვა სახის პიარაქციები.

სავარაუდოდ, ტურნირი ყოველ წელს გაიმართება და ტრადიციულ ფორმას მიიღებს.

**ზურაბ მიგრიაული**

# სერენას დე ბრიტო გაუჭირდა



სერენა უილიამსი

**დღეს** ტრადიციას დავარღვევთ და ტურნირების მიმოხილვას ქალთა მატჩებით დავიწყებთ — საქმე იმაშია, რომ გუშინ კორტზე ბობოლები გავიდნენ და სწორედ მათ მივაქცევთ ყურადღებას.

ამერიკულ სტენფორდში წარმატებული დებიუტი გამოუვიდა სერენა უილაიმსს. იქ, როგორც წესი, ვინუსი უფრო თამაშობდა ხოლმე და გვარიან წარმატებებსაც აღწევდა — ფინალში ექვსჯერ გასულა და ორჯერ უჩემპიონია, სერენა კი როგორღაც ვერ ახერხებდა მონაწილეობის მიღებას, რადგანაც ან ტრავმას იმუშებდა, ანაც დასვენებას ამჯობინებდა. თუმც ამჯერად უქმობა ვინუსმა ისურვა, უმცროსმა უილიამსმა კი თამაში მოინდომა და გუშინ მეოთხედფინალის საგზურიც გაინაღდა.

თუმც, მოულოდნელად, სერენას ძალიან გაუჭირდა 15 წლის პორტუგალიელ მიშელ ლარშერ დე ბრიტოსთან, რომელმაც ნამდვილი ომი გაუმართა აღიარებულ ფავორიტს. თინეიჯერ პირინეელს დებიუტანტისა არაფერი ეტყობოდა და გოროზ მეტოქეს თავიდანვე უტეხად ეკვეთა, რითაც ამერიკელი გვარიანად დაშოკა.

„მეტოქის შეუფასებლობა არასოდეს მახასიათებდა, რადგანაც ვიცი, რომ ჩემს წინააღმდეგ ყველა თავს იკლავს ხოლმე, მაგრამ დღეს მისი აქტიურობა მაინც მოულოდნელი იყო“ — სერენას დაბნეულობა ნამატჩევსაც ეტყობოდა.

ეს გასაკვირი სულაც არ გახლავთ, რადგანაც დე ბრიტომ ჯერ სეტი აართვა ამერიკელს, შემდეგ კი მეორე პარტიაშიც წინ გაიჭრა — 2:0. თითქოს სენსაციის სუნი დატრიალდა, მაგრამ... როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სერენამ საუკეთესო თამაში სწორედ იმ მომენტში აჩვენა, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა. მოკლედ, უმცროსმა შავდამ შეძლო თამაშის ჩარხის სათავისოდ შემოტრიალება და მატჩი მაინც მიიყვანა გამარჯვებამდე, 4:6 6:3 6:2.

ნაკლები პრობლემები ჰქონდა ტურნირის მეორე ნომერსა და მოქმედ ჩემპიონ ანა ჩაკვეტაძეს, რომელმაც საკმაოდ ადვილად მოუგო შაჰარ პირს, 6:3 6:4. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგანაც რუსი სტენფორდში დიდი ამბიციებით არის ჩასული:

„მიუხედავად იმისა, რომ წლეულს გაცილებით სერიოზული მეტოქეები მეყოლება, აქ მაინც ტიტულის შესანარჩუნებლად ვარ ჩამოსული. დღევანდელი თამაშით კი კმაყოფილი ვარ — კარგა ხანია, ჰარდზე არ მეთამაშა და ამის ფონზე ნორმალურად ვიჩოგნავე. დარწმუნებული ვარ, კიდევ მოვუმატებ“.

ორმა ბობოლამ კი გააღწია მეოთხედფინალში, მაგრამ, სამაგიეროდ, წააგო დანიელა ჰანტუხოვამ, რომელიც ფეხის ტრავმის მოშუშების შემდეგ არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება. სლოვაკმა უიმბლდონზეც უხეიროდ ითამაშა და ახლაც სერიოზული ვერაფერი დაუპირისპირა იაპონელ ვეტერან აი სუგიამას.

ამ კვირას მიმდინარე ქალთა მეორე ტურნირზე კი, რომელიც ავსტრიულ ბად გაშტაინში იმართება, ყურადღების ცენტრში ახალგაზრდები იყვნენ. თავიანთი მატჩები მოიგეს უნგრელმა აგნეს სყავაიმ და დანიელმა კაროლინ ვოზნიაკიმ. რამდენიმე დღის წინ ბუდაპეშტში გაჩემპიონებულ ალიზ კორნეს კი ნაკლებად გაუმართლა — ფრანგი რაღაცით მოწამლულა და ამის გამო ვერ შეძლო პარაგვაელ როსანა დე ლოს რიოსთან შეხვედრის ბოლომდე ჩამთავრება.

ახლა კი კაცთა ტურნირებს მივაპყროთ მზერა და ისევ ამერიკიდან დავიწყოთ, სადაც გუშინ მასპინძლებმა ბევრი ვერაფრით გამოიჩინეს თავი. სამაგიეროდ, იყოჩაღა მეორე ნომერმა ჟილ სიმონმა, რომელიც დიდი წვალებით გაუმკლავდა ბენჯამინ ბეკერს. ჩოგბურთელებმა სეტები გაცვალეს და მესამეში დიდი ბრძოლაც იყო მოსალოდნელი, მაგრამ ფრანგმა სწორედ აქ გაიგიჟა თავი და ბეკერს კინკილა გეიმიც აღარ დაუთმო.

მეოთხედფინალში სიმონი კიდევ ერთ გერმანელს შეხვდება, თუმც ტომი ჰაასის სახით გაცილებით ძლიერი მეტოქე ეყოლება. თავად ჰაასი გუშინ აყლაყუდა მასპინძელ ჯონ აისნერს გაუმკლავდა და ამით მასთან შეხვედრებში ნავსიც გატეხა — აქამდე ამ ახალგაზრდა იანკთან ორიდან ორივე შეხვედრა წააგო.

იმარჯვა მოქმედმა ჩემპიონმა დმიტრი ტურსუნოვმაც, რომელსაც ახლა ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსიც აქვს, რადგან არცთუ ძლიერ პოლ კაპდევილს ხვდება.

ავსტრიულ კიცბიულეში კი ვიქტორ ჰანესკუს კარგი თამაში გამოვყოთ. ამ რუმინელს ალპების ჰაერი აშკარად მოუხდა და ლამის კარიერის საუკეთესო ჩოგბურთს აჩვენებს — ხუთიოდე დღის წინ შვეიცარიულ გშტაადში იხეირა და აგერ ახლა არც ავსტრიაში იკლებს რამეს. ჰანესკუმ საათზე ოდნავ მეტი დაახარჯა ესპანელ გილერმო გარსია-ლოპესის მიჩოგვნას, 6:2 6:1.

ხორვატულ უმაგში კი ფავორიტთაგან კორტზე ჯერ მხოლოდ ესპანელები გავიდნენ. პირველ ნომრად განთესილმა ფერნანდო ვერდასკომ ფრანგი მატიო მონტკორტი დააჩოქა. საქმეში ვიხილეთ შარშანდელი ჩემპიონი კარლოს მოიაც, რომელიც ტრადიციულად ძალიან ძლიერად თამაშობს უმაგში. თუმც ამჯერად ესპანელ ვეტერანს ძალიან გაუჭირდა ვიქტორ ტროიცკისთან და სერბის დამარცხებას 2 საათი და 45 წუთი შეალია.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ლაზარეც დამარცხდა

**თბილისი. თიხა. საპრიზო 15 000 დოლარი**

**მეოთხედფინალი**

**მატეო მარრაი (1, იტალია) — ანდრეი პლოტნი (რუსეთი) 6:3 6:2**
**დენის პავლოვსი (5, ლატვია) — ლაზარე კუხალაშვილი (საქართველო) 6:1 6:1**
**ვუ ჰან ჰამი (6, სამხრეთ კორეა) — ვადიმ ალექსეენკო (უკრაინა) 6:1 6:4**
**დევიდ სავიჩი (2, სერბეთი) — ვიდას საბესკისი (7, ლიტვა) 6:1 6:2**

**სამწუხაროდ,** „ლეილა მესხის აკადემიის“ კორტებზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე კაცთა საერთაშორისო ტურნირს ქართველი მეჩოგნე აღარ შემორჩა. ჩვენმა უკანასკნელმა იმედმა ლაზარე კუხალაშვილმა ძალიან იოლად დათმო მატჩი მე-5 ნომრად განთესილ დენის პავლოვსთან. იმასაც გეტყვით, რომ პავლოვსმა მერვედფინალში კიდევ ერთი ქართველი ჩოგბურთელი ნოდარ ითონიშვილი გამოთიშა ასპარეზობას, ამჯერად კი ორ სეტში კუხალაშვილიც იგივე გზას გაუყენა. ლატვიელი სპორტსმენი ნახევარფინალში ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ იტალიელ მატეო მარაის შეხვდება. იტალიელმა თავის მხრივ რუსი ანდრეი პლოტნი დაამარცხა.

მეორე ნახევარფინალური წყვილი სამხრეთ კორეელმა ვუ ჰან ჰამმა და მე-2 ნომრად განთესილმა სერბმა დევიდ სავიჩმა შეადგინეს. ვუ ჰან ჰამს მეოთხედფინალში უკრაინელ ვადიმ ალექსეენკოსთან ცოტა კი გაუჭირდა, მაგრამ მაინც ორ სეტში დაამარცხა მეტოქე.

დევიდ სავიჩმა კი მეოთხედფინალიდან ტურნირის მე-7 ნომერი ლიტველი ვიდას საბესკისი გაისტუმრა.

**ზურაბ მიგრიაული**



ლაზარე კუხალაშვილი



**95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი**




რიკარდო რიკო დოპინგზე ჩავარდა

# რიკოს ზარმაც დოპინგისა დარეკა

**აჰა,** ისევ აგორდა და იქნებ მორიგი ზვავის სახეც მიიღოს. ჯერ მანუელ ბელტრანიო, შემდეგ მოიზეს დუენასიო და ამ, შედარებით ადვილად მოსანელებელი ამბების შემდეგ დიდი ბომბიც გასკდა, „ტურ დე ფრანსი“ ვერც წლეულს გადაურჩა დოპინგსკანდალს — იტალიელი რიკარდო რიკო, წლევანდელი „ჯირო დიტალიას“ მეორე პრიზიორი, „ტურზე“ ორი ეტაპის მომგები და ერთბაშად ორი მაისურას, წითელწინწკლებიანისა (საუკეთესო სამთო მრბოლი) და თეთრის (საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლი) პატრონი ერითროპოეტინის მომხმარებელი ყოფილა.

რიკომ მიმდინარე „ტურზე“ ორი სამთო ეტაპი მოიგო, მეექვსე და მეცხრე, მას მინიმუმ ოთხჯერ ჩაუტარეს დოპინგ-ტესტი და დადებითი პასუხი კი მეოთხე ეტაპის შემდეგ აღებულმა სინჯმა აჩვენა.

როგორც კი დოპინგ-ტესტის დადებითი პასუხის შესახებ გახდა ცნობილი, რიკო ავტომატურად მოკვეთეს რბოლიდან, იტალიელის გუნდმა, ესპანურმა „სონი დიუვალმა“ კი ყოველივე მომხდარის შემდეგ აღარ ისურვა „ტურზე“ დარჩენა და რბოლის გაგრძელებაზე უარი თქვა.

შარშან მსგავსი ნაბიჯი, თავისი ლიდერების, ალექსანდრ ვინოკუროვისა და ანდრეი კაშეჩკინის დისკვალიფიკაციის შემდეგ ყაზახურმა „ასტანამ“ გადადგა და აი, თავისი ლიდერის დანაშაულს უძლიერესი სამთო მრბოლებით დაკომპლექტებული „სონი დიუვალიც“ ემსხვერპლა.

**მე-12 ეტაპი. ლაველანი — ნარბონი. 169კმ**

| | |
|---|---|
| 1. მარკ კავენდიში (ბრიტანეთ„, კოლუმბია“) | 3სთ 40წთ 52წმ |
| 2. სებასტიენ შავანელი (საფრანგეთი, „ფრანსაიზ დე ჟუ“) | |
| 3. გერტ სტეეგმანსი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“) | |
| 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი“) | |
| 5. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“) | 50სთ 23წთ 05წმ |
| 2. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +1წმ |
| 3. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „ჯერმენ შიპოტლი“) | +38 |
| 4. ბერნარდ კოლი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) | +46 |
| 5. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი“) | +57 |



# შვიდკაცას რვაეტაპა მეათე სერია

**რაგბის** საერთაშორისო საბჭომ 2008-09 წლების 7-კაცა რაგბის რიგით მე-10 მსოფლიო სერიის კალენდარი გამოაქვეყნა. სულ რვა ეტაპი ჩატარდება და აქედან ხუთში საქართველოს რჩეული შვიდეულიც ითამაშებს. ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიო სერიაში მონაწილეობის უფლება ჰამბურგის ევროპის ჩემპინატის ფინალურ ეტაპზე მე-3 ადგილის დაკავებით მოიპოვა. ჰამბურგული ტურნირის წყალობაა ისიც, რომ ჩვენი „ლელოები“ 2009 წლის 5-7 მარტს დუბაიში შვიდკაცას მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ.

აქვე გეტყვით, რომ მსოფლიოს სერია და მსოფლიოს ჩემპიონატი ერთმანეთთან კავშირში არ არის. გასული წლის მსგავსად, სერიის პირველი ეტაპი დუბაიში წლეულს, 28-29 ნოემბერს ჩატარდება. 5-6 დეკემბერს სერიის ეტაპს სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს. დანარჩენი 6 ეტაპი კი 2009 წელს გაიმართება ახალ ზელანდიაში (ველინგტონი) 6-7 თებერვალს, აშშ-ში (სან დიეგო) 14-15 თებერვალს, ჰონკონგში 27-29 მარტს, ავსტრალიაში (ადელაიდა) 4-5 აპრილს, ინგლისში (ლონდონი) 23-24 მაისს და შოტლანდიაში (ედინბურგი) 30-31 მაისს.

7-კაცა რაგბის მსოფლიოს სერიების წინა ცხრა გათამაშებიდან რვაში ახალმა ზელინდიამ იპირველა და მხოლოდ ერთხელ მოიგო ფიჯის ნაკრებმა.

**ზურაბ მიგრიაული**



# ოსკარ პისტორიუსს ესტაფეტა აუკრძალეს

**ბოლო** ხანებში ერთი ამბავია ატეხილი სამხრეთაფრიკელი ინვალიდი მძლეოსნის ოსკარ პისტორიუსის ირგვლივ.

პისტორიუსს ორივე ფეხი მუხლს ქვემოთ ამპუტირებული აქვს, მაგრამ სპეციალური პროთეზებით მშვენივრად დარბის და პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა სურს, ოღონდაც, არა პარაოლიმპიელთა შეჯიბრში, არამედ ნამდვილ ოლიმპიადაზე.

კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ იააფ-მა (მძლეოსნობის ფედერაციათა საერთშორისო ასოციაცია) ნება დართო პისტორიუსს, რომ მას წინასაოლიმპიადო საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში მიეღო მონაწილეობა და საკვალიფიკაციო ნორმატივის შესრულების შემთხვევაში, სამხრეთაფრიკელი მძლეოსანი ოცნებასაც აისრულებდა.

ბოლო ასეთი შეჯიბრი შვეიცარიაში ჩატარდა, სადაც პისტორიუსმა 400 მეტრზე სირბილში მესამე ადგილი დაიკავა პირადი რეკორდით, 46,25 წამით, ოღონდაც ეს შედეგი საკვალიფიკაციო ნორმატივს 0,7 წამით ჩამორჩა.

„მიუხედავად იმისა, რომ პეკინში გამოსვლის შანსი დავკარგე, ბედნიერი ვარ ჩემ მიერ ნაჩვენები შედეგით. ჩემთვის ძალზე ძნელი იყო ოპტიმალურ ფორმაში შესვლა, შეჯიბრებებში გამოსვლის ნება ხომ ორიოდე თვის წინ მომცეს, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ — განაცხადა ოსკარმა და იქვე იმედიანად დაამატა — თუმცა, მაქვს კიდევ ერთი შანსი. შეიძლება, ქვეყნის საესტაფეტო (4X400) გუნდში მიმიწვიონ".

პისტორიუსის საესტაფეტო გუნდში დაყენება მართლაც რეალურია, რადგანაც სამხრეთაფრიკელებს ასეთი შედეგის მქონე მორბენლები ბევრი არ ჰყავთ. მაგრამ აი, აქ კი იააფ-ი სასტიკ უარზეა.

„გადაწყვეტილება სამხრეთ აფრიკის მძლეოსნობის ფედერაციამ და ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა მიიღონ, მაგრამ ჩვენი სურვილი და რჩევაა, არ შეიყვნონ პისტორიუსი საესტაფეტო გუნდში, თავად მისი უსაფრთხოების მიზნით — ბრძანა იააფ-ის გენერალურმა მდივანმა პიერ ვაისმა — ესტაფეტა, ეს ჩხუბივით არის. ეს მძლეოსნობის იმ სახეობათაგანია, რომლებშიც სპორტსმენთა შორის კონტაქტი საკმაოდ ხშირია, როდესაც ესტაფეტის გადაცემა ხდება ხოლმე და ამ დროს იქ პისტორიუსის ყოფნამ, შეიძლება, დიდი პრობლემები გამოიწვიოს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ოსკარის პროთეზების საიმედოობაში, მაგრამ ესტაფეტამ შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დააყენოს".

თავად ინვალიდი სპორტსმენის მენეჯერმა პიერ ვან ზილმა განაცხადა, რომ ოსკარმა შეიძლება ირბინოს ესტაფეტის, მხოლოდ პირველი, სასტარტო მონაკვეთი, თუმცალა იააფ-ი არც ამის მომხრეა.

# ლიუს კონკურენტი მხოლოდ ლიუა
## ჩინელ ჩემპიონს რობლესის რეკორდი არ აღელვებს

**პეკინის** ოლიმპიური თამაშების მასპინძლებს მძლეოსნობაში თუ ვინმესი ეიმედებათ, ეს, უპირველეს ყოვლისა ლიუ სიანია, ათენის ოლიმპიადის ჩემპიონი 110 მეტრზე თარჯრბენში.

თავის სახეობაში ლიუ სიანი ბოლო წლებში უპირობო ლიდერად ითვლებოდა და მსოფლიო რეკორდსაც ფლობდა, მაგრამ ამ ერთი თვის წინ კუბელმა დეირონ რობლესმა 110 მეტრი 12,87 წამში მოთარჯა და ჩინელის ძველ რეკორდს წამის ორი მეასედი ჩამოაკლო.

მიუხედავად ამისა, ლიუ ოპტიმისტურადაა განწყობილი და დარწმუნებულია, რომ თავისი ქომაგების თვალწინ ტიტულის შენარჩუნებას შეძლებს.

„შეიძლება ხალხი ფიქრობდეს, რომ მე განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ ვიყო, მაგრამ ასე არ არის — თქვა ლიუმ — მე მეიმედება საკუთარი თავის. ჩემი ოსტატობა არსად დაკარგულა და მჯერა, შევძლებ საკუთარი შანსის გამოყენებას".

თავის შეგირდს ჩინელი მძლეოსნის მწვრთნელმა სუნ ჰაიპინმაც მხარი აუბა: „რა ძალის მოწინააღმდეგეებიც არ უნდა დაუდგნენ გვერდით, ლიუ სიანს ერთადერთი კონკურენტი ჰყავს — საკუთარი თავი".

# პეკინამდე ლონდონი
## პაუელმა პარიზი იუარა, ბოლტი კი დიდ გულზეა

**100 მეტრზე** სირბილში მსოფლიოს ექსრეკორდსმენი, იამაიკელი ასაფა პაუელი „ოქროს ლიგის" მეოთხე, პარიზული ეტაპიდან მოეხსნა.

პარიზში შეჯიბრი დღეს გაიმართება და პაუელი ამ ტურნირს პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპად განიხილავდა, მაგრამ „ოქროს ლიგის" წინა, რომის შეჯიბრზე მიღებული საზარდულის ტრავმის გამიზეზებას უფრთხის და ამიტომაც პარიზში არ ირბენს.


უსაინ ბოლტი

ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე კვირაღა დარჩა და პაუელის სიფრთხილე გასაგებია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ იამაიკის შიდა ჩემპიონატის შემდეგ მას აღარსად ურბენია და უკვე ძნელი სათქმელია, თუ როგორ ფორმაში ხვდება ასაფა ოთხწლეულის მთავარ სტარტს.

ამ დროს კი პაუელის თანამემამულე და მისთვის 100 მეტრის მსოფლიო რეკორდის ჩამომრთმევი უსაინ ბოლტი არანაირ ტრავმასა და უხასიათობას არ უჩივის, პირდაპირ დაფრინავს და როგორც თვითონ ამბობს, ერთი სული აქვს საკუთარი სიძლიერე კიდევ და კიდევ რომ დაამტკიცოს.

უახლოესი სტარტი ბოლტს მომავალი კვირის ბოლოსთვის, ლონდონის დიდ პრიზზე აქვს დაგეგმილი. ლონდონური შეჯიბრი 25-26 ივლისს „კრისტალ პალასის" სტადიონზე ჩატარდება და ბოლტი იქ 200 მეტრზე სირბილს გეგმავს.

„მიუხედავად იმისა, რომ წლეულს 100 მეტრზე უფრო ხშირად დავრბოდი და მსოფლიოს რეკორდიც დავამყარე, ჩემი საყვარელი დისტანცია მაინც 200 მეტრია. მე ვიცი, თუ რა შემიძლია და ერთი სული მაქვს, რათა ჩემი სიძლიერე დავამტკიცო — განაცხადა უსაინმა და დაამატა — „კრისტალ პალასის" სარბენი ბილიკი ცნობილია თავისი სისწრაფით და თანაც, იქ მართლაც მსოფლიო კლასის მორბენლები მოიყრიან თავს, რაც მაღალი შედეგის წინაპირობაა".

აქვე გეტყვით, რომ ლონდონში 100 მეტრზე სირბილს ამერიკელი ტაისონ გაი გეგმავს და თუ საზარდულმა ხელი არ შეუშალა, ინგლისის დედაქალაქში პაუელიც ჩავა.

# 126 ამერიკელი

**ამერიკის** შეერთებული შტატები პეკინის ოლიმპიადაზე 126 მძლეოსნით წარდგება. ამათგან 15 ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორია, 31 მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორი და ათიც ქვეყნის რეკორდსმენი.

ოთხი წლის წინ, ათენის თამაშებზე ამერიკელმა მძლეოსნებმა 25 მედალი მოიპოვეს, რომელთაგან 8 ოქროსი იყო. ათენის ჩემპიონებიდან პეკინში შონ კროუფორდი (კაცთა 200 მეტრი) და ჯერემი უორინერი (კაცთა 400 მეტრი) გამოვლენ.

ამათ გარდა ამერიკელთა ნაკრებში ისეთი ვარსკვლავები ირიცხებიან, როგორებიც ტაისონ გაი, სანია რიჩარდსი, ტორი ედვარდსი, ჯენიფერ სტუჩინსკი, ლეშონ მერი, ბრედ უოკერი არიან, თუმც ეს ამერიკელთა ვარსკვლავური სიის მხოლოდ მოკლე ჩამონათვალია.

ამერიკელი მძლეოსნები პეკინში ათენზე უკეთესად გამოსვლას გეგმავენ და ეს მათ, ნამდვილად ხელეწიფებათ.


დავით ილარიანი

# ლიცენზიანტები ეროვნულზე

**გუშინ** ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ქართველმა მძლეოსნებმა, დავით ილარიანმა და მარიამ ქევხიშვილმა ღია ვარჯიში გამართეს. ილარიანიც და ქევხიშვილიც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მფლობელები არიან. ილარიანმა სულ ახლახან ისრაელში ჩატარებულ ტურნირზე 110 მეტრ თარჯრბენში შეძლო პეკინის საგზურის მონაგრება. მისი დრო იერუსალიმში 13.67 იყო, რითაც დათომ ლიცენზიაც აიღო და საქართველოს ახალი რეკორდიც დაამყარა.

ღია ვარჯიშზე ილარიანს მის მიერ მოპოვებულ ლიცენზიასა და სამომავლო გეგმებზე ვკითხეთ...

— ოთხი წელი ველოდი ლიცენზიის აღებას. ყოველთვის მზად ვიყავი და შინაგანადაც ვგრძნობდი ამას, მაგრამ რატომღაც უკანასკნელ ტურნირზეღა შევძელი სურვილის ასრულება — გვითხრა დავით ილარიანმა.

მარიამ ქევხიშვილი კი ორი წლის შესვენების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. როგორც ქართველი სპეციალისტები ირწმუნებიან, იგი ძალიან მაღალი ტემპით უმატებს. ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და ხავსებით რეალურია, რომ ოლიმპიადაზე ოცეულში შევიდეს, რაც მისი ასაკის სპორტსმენისთვის შეიძლება, წარმატებად ჩაითვალოს. ქევხიშვილი აშშ-ში, ფლორიდის შტატის ქალაქ გენზვილში ცხოვრობს. იგი არაერთხელ გახდა აშშ-ს სტუდენტური ჩემპიონატის გამარჯვებული. ქევხიშვილის მწვრთნელი სტივ ლენკი რამდენიმე დღეში ჩამოვა საქართველოში. ლენკი თავისი შეგირდის დასამძლვრად ქართულ დელეგაციასთან ერთად მიემგზავრება პეკინში.

დაბოლოს, გეტყვით, რომ ოლიმპიადამდე ეს ორივე მძლეოსანი თბილისში იქნება და ვარჯიშითაც ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს.

**ზურაბ მიგრიაული**


მარიამ ქევხიშვილი

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# მზეო, ამოდი, ამოდი...
## რაიკონენი სიცხეს ნატრობს, მასა შეცდომებზე ფიქრობს


კიმი რაიკონენი

**პირველი** ფორმულის სამყარო სულ ათ გუნდი და ოცი პილოტია, მაგრამ ეს სამყარო მაინც უაღრესად ჭრელია და არა მარტო ეროვნული ნიშნით, არამედ, ნუ გაგიკვირდებათ და, ამინდთან დაკავშირებით.

დიახ, ასეა — ვის წვიმა უნდა და ვის მზე, ვერ გაიგებ. აგერ, გუშინ გვეწერა, „ჰონდა“ ამ უქმეებზე ჰოკენჰაიმრინგზე გასამართი გერმანიის დიდი პრიზისთვის ავდარს ნატრობსო და სინოპტიკოსთა პროგნოზებიც თითქოს ისეთია, რომ წვიმის ალბათობა საკმაოდ დიდი მოჩანს.

მსოფლიოს ფინელ ჩემპიონს, „ფერარის“ მრბოლ კიმი რაიკონენს კი სურს, სინოპტიკოსთა ვარაუდები არ გამართლდეს და პირიქით, ჰოკენჰაიმში სიცხე იყოს, რათა მისმა გუნდმა კრაგი სარბოლო უიქენდი ჩაატაროს.

„იმედი მაქვს, რომ სიცხე იქნება. საერთოდ, ჰოკენჰაიმში ამ დროს ცხელა ხოლმე და თანაც, ჩვენი მანქანა მაღალ ტემპერატურაზე გაცილებით უკეთ მუშაობს“ — განაცხადა კიმიმ და სპეციალისტთა დაკვირვებითაც, ცხელ ასფალტზე „ფერარი“ უმთვარეს კონკურენტ „მაკლარენზე“ გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანია და ეს მაშინ, როდესაც წვიმასა და დაბალ ტემპერატურაზე ინგლისურ-გერმანული საჯინიბოს ბოლიდები აშკარად ჯაბნიან იტალიელთა მანქანებს.

თუმცა, „ფერარის“ პილოტი, თანაც მსოფლიოს ჩემპიონი, მარტო ცხელი ასფალტის იმედზე ვერ იქნება. „ყოველთვის ვამბობდი, რომ წლევანდელი ჩემპიონატი ურთულესი იქნებოდა. მე მქონდა შანსები, ბოლო სამი რბოლა მომეგო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ასე არ მოხდა. მაგრამ ახლა მჯერა, რომ კვლავ შემიძლია გამარჯვება. ჰოკენჰაიმრინგზე გასწრება ძნელია, მაგრამ ამავდროულად, ეს ის ტრასაა, სადაც კვალიფიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. მჯერა, ჩვენ ჩვეულ სიმაღლეზე ვიქნებით“ — განაცხადა რაიკონენმა.

ფინელის ბრაზილიელი თანაგუნდელი ფელიპე მასა კი იმაზე ფიქრობს, რომ არ განმეორდეს სილვერსტოუნზე, დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშებისას დაშვებული სრტატეგიული და ტაქტიკური შეცდომები.

სილვერსტოუნზე კოშმარის შემდეგ „ფერარის“ პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემელო პირადად შეხვდა გუნდის წევრებს, რათა გაერკვია, რა იყო ამ შეცდომების მიზეზი.

„სილვერსტონის შემდეგ ბევრ რამეზე ვიმუშავეთ. მათ შორის იმაზე, თუ როგორ გავაუმჯობესოთ რბოლის მიმდინარეობისას პროცედურები — განუცხადა მასამ ჟურნალისტებს — სხვას ვერაფერს გეტყვით, რადგან ეს ყველაფერი კონფიდენციალურია, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ ამიერიდან მსგავსი შეცდომები აღარ გვექნება. სწორედ ეს არის ჩვენი უმთავრესი მიზანი სეზონის მეორე ნახევრისთვის“.

**ქახა ლომაძე**

# ვილი ვებერის სატრანსფერო ვარაუდები

**ვილი ვებერი**, რომელმაც მიხაელ და რალფ შუმახერების მენეჯერობით გაითქვა სახელი, ფიქრობს რომ საპირველფორმულო სეზონის დასრულების შემდეგ რამდენიმე პილოტი გუნდს შეიცვლის.

ვებერის აზრით, იმის ალბათობა, რომ ნიკო როსბერგი „უილიამსს“ დატოვებს, თითქმის ასი პროცენტია. საიმისოდ, როსბერგი რომ შეინარჩუნოს, სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბომ, ვებერის თქმით, წლეულს კონსტრუქტორთა თასზე მეოთხე ადგილი უნდა დაიკავოს, ანუ დიდი სამეულის — „ფერარი“, „მაკლარენ-მერსედესი“, „BMW-ზაუბერი“ — გარდა ყველას უნდა გაასწროს. არადა, სადღეისოდ „უილიამსი“ მხოლოდ მეექვსეა და მეოთხეზე მყოფ „ტოიოტასთან“ 9 ქულას აგებს.

„ნიკოს კონტრაქტში არის ერთი პუნქტი, რომელსაც „უილიამსი“, სავარაუდოდ ვერ შეასრულებს. შედეგად, როსბერგი „მაკლარენში“ გადაბარგდება ჰეიკი კოვალაინენის ნაცვლად, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, „რენოში“ დაბრუნდება“ — ამტკიცებს ვებერი, ვისაც როსბერგის „უილიამსიდან“ წასვლა ალბათ აწყობს, რადგანაც „უილიამსის“ ტესტ-პილოტის, როსბერგის სეხნია ნიკო ჰიულკენბერგის მენეჯერია და მის პროტეჟეს საპრიზო პილოტობისკენ გაეხსნება გზა.

გუნდის შეცვლის ალბათობას არც თავად როსბერგი გამორიცხავს. ნიკო საჩემპიონო ტიტულზე და ისეთ გუნდზე ოცნებობს, პირველობისთვის ბრძოლა რომ შეეძლება.

არადა, წლევანდელ 10 რბოლაში გერმანელმა პილოტმა მხოლოდ 8 ქულა მოაგროვა, რომელთაგან 6 პირველ, ავსტრალიურ ეტაპზე მოდის და ეს ნამდვილად არ არის საჩემპიონო მონაგარი. მეორეს მხრივ, ნიკოს „უილიამსთან“ 2009 წლის ბოლომდე აკავშირებს კონტრაქტი და ამ კონტრაქტს პატივისცემა უნდა, თუმცა...

„ფორმულა 1 ფეხბურთივით არის. არის კონტრაქტები, მაგრამ ისინი წყდება და ფეხბურთელები ერთი გუნდიდან მეორეში გადადიან — განაცხადა ნიკომ და როდესაც ჰკითხეს, შარშან შენი გადაყვანა „მაკლარენს“ უნდოდა და ხომ არ შეიძლება, ეს ორი ინგლისური საჯინიბო ახლა შეთანხმდნენ შენთან დაკავშირებითო, ასე უპასუხა — ყველაფერი ფრენკ უილიამსზეა დამოკიდებული. მხოლოდ მაშინ დავიწყებ სხვა გუნდზე ფიქრს, თუ ფრენკი ჩემს გაშვებას გადაწყვეტს. ჩემი მიზანი ჩემპიონობაა და, თუ „უილიამსთან“ ერთად ეს არ მოხერხდება, ბუნებრივია, სხვა გუნდის მონახვა მომიწევს. ვიცი, რომ „უილიამსი“ ვერც გაისად ჩაერთვება საჩემპიონო ბრძოლაში, მაგრამ ახალი წესებიდან გამომდინარე, როდესაც ყველას ნულიდან მოუწევს საქმის დაწყება, ვფიქრობ, „უილიამსს“ ძალუძს ტოპ-გუნდებთან მიახლოება“.

აი, ასეა საქმე — როსბერგი მომავალ სეზონზე, მაინც „უილიამსთან“ ერთად ფიქრობ, ხოლო ვებერმა მისი საკითხი გაცილებით მარტივად გადაჭრა.

**ქახა ლომაძე**


ვილი ვებერი



# დარტყმა თავით


ჯეიმს ტონი

**გუშინ** ამერიკულ ქალაქ ტემეკულაში გაიმართა ბრძოლა მძიმე წონაში ორ ექს-ჩემპიონს — ჯეიმს ტონისა და ჰასიმ რაჰმანს შორის. ისინი ერთმანეთს NABO-ს საჩემპიონო ქამარს ეცილებოდნენ, თუმც რეალურად ფსონად სხვა რამ იდო — ამ ჩხუბის გამარჯვებულს დიდ კრივში დაბრუნებისა და მართლაც სერიოზული ტიტულისთვის ბრძოლის საშუალება ექნებოდა.

ორიოდ წლის წინ ამ ბრძოლას მთელი საკრივო სამყარო ალბათ გაფაციცებით მიადევნებდა თვალს — ისეთივე ყურადღებით, როგორც მათი 2006 წლის 18 მარტის ჯახს, რომელიც ფრედ დასრულდა. თუმც ამ ორი წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა და ორივე მოკრივემ დაკარგა ადგილი ელიტაში.

რაჰმანი დროს ტარებასა გადაჰყვა და კაცს, რომელმაც თავის დროზე კარიერის პიკზე მყოფი ლენოქს ლუისი დაანოკაუტა, ახლა ყურადღებასაც არავინ აქცევს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2006 წლის 12 აგვისტოს IBF-ის ქამარი ოლეგ მასკაევს დაუთმო.

ტონი კი სულაც ერთი წლით კრივიდან მოკვეთილი იყო, რადგან სტეროიდების გამოყენებაში ამხილეს.

ასე რომ, ეს ბრძოლა ორივეს მიერ ლამის ბოლო შანსად აღიქმებოდა და ამიტომ ვინც მისი ცქერა არ დაიზარა, სერიოზულ ჯახს ელოდა. თუმცა მაყურებელს ხელში ტრაგიკომედია შერჩა, რადგან რინგზე მომხდარი სასაცილოც იყო და სატირალიც.

მესამე რაუნდამდე სერიოზული არაფერი მომხდარა. მოკრივეები ერთმანეთს გარშემო უვლიდნენ და თითქოს დარტყმას არც ცდილობდნენ. ამ საჭწუთეულის შუაწელზე კი რაჰმანი ცოტა გააქტიურდა და მისი მოქნეული მეტოქეს მოხვდა. ტონი კინაღამ წაიქცა, თუმც შეძლო ფეხზე გაჩერება. მაგრამ წელში რომ სწორდებოდა, მეტოქეს თავი პირდაპირ სახეში მოარტყა. რაჰმანსაც სისხლი წასკდა, რომელიც მას ვერაფრით გაუჩერეს და ექიმმაც მთავარ რეფერის ანიშნა, ბრძოლის გაგრძელება აღარ შეიძლებაო.

ასეთ დროს გამარჯვებულს არ ასახელებენ და წესით, ახლაც ასე უნდა მომხდარიყო, მაგრამ მსაჯებმა თათბირისას გადაწყვიტეს, სანამ ტონი მეტოქეს თავს მოარტყამდა, თვალი მანამდე მუშტით დაუზიანაო და ამიტომ გამარჯვება სწორედ მას მიაკუთვნეს.

**ბახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge